თამთა შონვაძე

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის **საგანმანათლებლო დაწესებულებები** და მათი არქიტექტურა თბილისში

(საქართველოს ეროვნული არქივის მასალის მიხედვით)

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

კვლევა [PHDF-22-2375] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის, იუზა ხუსკივაძის ხსოვნას

ავტორ-შემდგენელი: **თამთა შონვაძე**

ყდის დიზაინი: **ნატა ყუბანეიშვილი**
დიზაინი და დაკაბადონება: **ია მახათაძე**
ტექსტის რედაქტორი: **მაკა სესკურია**
ფრანგული თარგმანი: **ალექსი ფოფხაძე**
ფოტოები: **ზურაბ ცერცვაძე**

ალბომში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში

©ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-5879-6
თბილისი 2023

ყდაზე: **თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის შენობის პროექტი**
რეიტერის (დღევანდელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის) ქუჩაზე
თბილისი, 1887 წლის 9 ივნისი

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ის ადამიანები და სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა თანადგომითაც შესაძლებელი გახდა წინამდებარე ალბომის მომზადება.

მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნულ არქივს და მის თანამშრომლებს კვლევისთვის შექმნილი საუკეთესო პირობებისთვის.

სამეცნიერო კვლევის წარმატებით ჩატარებისა და ალბომის გამოცემისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან მიღებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტს.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ დავით ხოშტარიას ალბომის მომზადების ყველა ეტაპზე პროფესიული რჩევების, კრიტიკული შენიშვნებისა და მეგობრული თანადგომისთვის.

გამორჩეული მადლობა ეკუთვნის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ქალბატონ მაია მანიას.

მადლობელი ვარ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ქალბატონ ქეთევან კობიაშვილის საარქივო მასალის მოძიებაში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი

წინათქმა 9

შესავალი 15

კეთილშობილთა სასწავლებელი. 29

თბილისის მართლმადიდებელთა
სასულიერო სემინარია 32

თბილისის სასულიერო სასწავლებელი. 41

კათოლიკური სასწავლებელი. 42

ლუთერანული სასწავლებელი 46

ნერსესიანის სემინარია 51

ვაჟთა პირველი გიმნაზია 60

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი 69

წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი 72

მუსლიმური სასწავლებელი თბილისში. 74

სომხურ-გრიგორიანული სკოლა. 75

თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია 76

რეალური სასწავლებელი 79

იუნკერთა სასწავლებელი/სამხედრო სკოლა. 82

საფერშლო სკოლა 84

მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებელი 85

თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია. 87

წმინდა გაიანეს სახელობის ქალთა სკოლა. 89

ქალთა სამეანო ინსტიტუტი 90

კადეტთა კორპუსი 92

თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია 93

მიხეილის სახელობის სარკინიგზო სასწავლებელი. 94
სამრევლო სკოლის პროექტი. 96
სათავადაზნაურო გიმნაზია 97
კომერციული სასწავლებელი 101
სასოფლო-სამეურნეო სკოლა 102
საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა 103
წმინდა მარინეს ეკლესიის სამრევლო სკოლა 104
თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია. 105
სომხური სამრევლო სკოლა. 108
ასურული ეკლესიის სამრევლო სკოლა 109
სამრევლო სკოლა 110
წმინდა ნინოს სამრევლო სკოლა 111
თბილისის საქალაქო სასწავლებელი 112
სამხატვრო სკოლა და ქალთა უმაღლესი კურსები. 113
თბილისის კონსერვატორია 117
მარინა ანანოვას ქალთა სასწავლებელი 119
მანთაშევის სავაჭრო სკოლა 120
ხარფუხის საქალაქო სკოლა. 121
ლევანდოვსკის გიმნაზია –
„თავისუფლების, შემოქმედებისა და სიხარულის“ სკოლა 126
თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზია 128
მატინოვის საქალაქო სკოლა 130
ბიბლიოგრაფია. 133

ხედი მამადავითის მთიდან ქალაქის ცენტრზე. ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ფოტო: დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1910]

წინათქმა

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისში, როგორც ცნობილია, ყოველგვარი კულტურული და ეკონომიკური ძალა იყო კონცენტრირებული და ის კავკასიის მთავარ ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ამავე დროს, თბილისი კავკასიის უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრიც იყო და აქტიური საგანმანათლებლო ცხოვრებით გამორჩეული დედაქალაქი შესაბამისი ფუნქციის ნაგებობების მშენებლობას საჭიროებდა. შესაბამისად, საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე შენობები აქ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში შენდებოდა.

სამეცნიერო კვლევებში ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ კულტურული მიმდინარეობისა თუ საგანმანათლებლო კერის შესახებ საუბრისას, საფუძვლად მხოლოდ თეორიული მასალაა წარმოდგენილი, გასაგები მიზეზების გამო, რთული მოსაძიებელია დოკუმენტები (ვიზუალური და წერილობითი დოკუმენტები კონკრეტული დაწესებულების ადგილმდებარეობისა და მისი ფუნქციების შესახებ), რომლებიც ამ კვლევებს ზურგს გაუმაგრებს. ზოგჯერ ასეთი დაწესებულებების განთავსება კონკრეტულ შენობებში შემთხვევითია, ხშირ შემთხვევაში კი შენობის იერსახე და მისი შინაარსი საოცრად თანხვდენილია და ეს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდის როგორც არქიტექტურის კონკრეტულ ნიმუშებს, ისე იმ ქუჩას, რომელზეც მდებარეობს ეს გამორჩეული იერსახისა და საყურადღებო ისტორიის მქონე ნაგებობა.

წინამდებარე ალბომი მითითებულ პერიოდში თბილისში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების ერთი ნაწილის არქიტექტურის შესწავლის მცდელობაა. ეს ნაგებობები აღნიშნული პერიოდის მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეულ არქიტექტურის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენენ. ალბომის მიზანია, გამოვავლინოთ თბილისის საგანმანათლებლო შენობების პროექტები, შევადაროთ ისინი დღეს „ცოცხალ ქალაქში“ შემორჩენილ ზოგიერთ შენობას და შეძლებისდაგვარად მოვახდინოთ მათი იდენტიფიკაცია. წარმოვაჩინოთ, თუ რა ადგილი ეკავა საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობებს დედაქალაქის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამავე დროს ნაშრომის ერთ-ერთ

მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციის ნაგებობების არქიტექტურის კვლევა და მათი როლის განსაზღვრა მიმდებარე ურბანულ კონტექსტში; იმის გარკვევა, თუ რა ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება საგანმანათლებლო შენობებს ქალაქის მხატვრული სახის შექმნაში.

წიგნი ეფუძნება როგორც საარქივო მასალას (პროექტები, წერილობითი დოკუმენტები, გრაფიკული და ფოტომასალა), ისე საველე პირობებში მოპოვებულ ინფორმაციას, დიდი დროის განმავლობაში „ცოცხალი შენობების" მონახულებისას გაკეთებულ აღწერებსა და ჩანაწერებს. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ნაგებობების შესახებ მოძიებული მასალის ძირითად წყაროს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული პროექტები, დოკუმენტური თუ ფოტომასალა წარმოადგენს. ყოველივე ეს კი შეჯერებულია ამავე პერიოდის ადგილობრივ პრესასთან, თბილისის სხვადასხვა გზამკვლევსა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებთან.

წინამდებარე წიგნი პირველი ნაბიჯია ჩემი სადისერტაციო ნაშრომისა, რომელშიც საუბარია, თუ როგორ და რა ისტორიულ პირობებში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა საგანმანათლებლო ფუნქციის ნაგებობები. ნაშრომში განხილულია, თუ რა მოთხოვნების და გამოწვევების წინაშე იდგა არქიტექტურა, ზოგადად, და კონკრეტულად, სასწავლო შენობების გარეგნული სახის თვალსაზრისით და ა.შ. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და ჩატარებული კვლევის შედეგები საფუძველს ქმნის საკითხის შემდგომი, უფრო ღრმა შესწავლისათვის, რაც უკვე განადგურებული ნაგებობების ზუსტი ადგილის დადგენისა და გადაკეთებული შენობების იდენტიფიკაციის საშუალებას მოგვცემს. წარმოდგენილი შენობების კვლევა და მათი არქიტექტურის ანალიზი თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაგებობათა არქიტექტურის სახის უკეთ წარმოდგენის საშუალებას იძლევა. XIX საუკუნის თბილისის თითოეული სასწავლო დაწესებულების ისტორიული ღირებულების განსაზღვრა და მხატვრულ-არქიტექტურული სახის შეფასება თბილისის არაერთი საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე შენობის ადგილის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. ეს დაკავშირებულია როგორც თბილისის ისტორიის საერთო განვითარების ხაზთან, ისე ქალაქის არქიტექტურის საერთო ფონსა და თბილისის ურბანულ სივრცესთან.

თბილისისთვის მეტად მნიშვნელოვანი არქიტექტურის ამ ნიმუშების ფუნდამენტური შესწავლა, მათზე არსებული ახლად მოძიებული დოკუმენტების, მათ შორის, თავდაპირველი თუ გადაკეთების პროექტების გამოვლენა, ამ შენობების არქიტექტორთა თუ ინჟინერთა და მათი შემოქმედების წარმოჩენა გარკვეულ სურათს შეგვიქმნის თბილისის არქიტექტურის შესწავლის გზაზე.

წიგნი შესაძლებლობას გვაძლევს გავაცნობიეროთ, რომ აუცილებელია კონკრეტული ნაგებობის არა მარტო დამოუკიდებლად, არამედ საერთო ურბანულ ქსოვილში აღქმა და მისი ანალიზი შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. მრავალგზის დავსვათ საკითხი, თუ რამდენად განაპირობებს საგანმანათლებლო ნაგებობების კონკრეტული მხატვრული სახე ქალაქის თავისებური და სპეციფიკური იერსახის შენარჩუნებას.

საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული წერილობითი წყაროებისა თუ პროექტების გამოვლენა დიდ სამსახურს გაუწევს არქიტექტორ-რესტავრატორებს ნაგებობების პირვანდელი სახის აღდგენის საკითხში.

„ძმილილი მიკლი კავკასიისა და სამხრეთკოს საგარეონი ჯენყრა.
ასზე კაკლ ბაბან-ბაქოს ჩვინიგზა, მე. მყვჭილ ოჩსვე მხრეზეა გაშენებული ქალი
ფრანსენგილ მანძილზე. ქალაქილ შაკაში ჩამეენიგ ბაკოვრა, საკაკ სახლიმნიფო
კანცელარიათა აშრავლოლობა, სამხედრო და ქალაქილ მაზეაგები, სალაშაოები
(„ლონდონი", „კავკასია", „ვერსალი", „ჭანგ-ოყლი"), ეკლესიები, თეატრები, ჯრჩვი,
სამოვაკოებრივი კლაკები."

ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი, გენერალი მაჯდ-ალ-სალტანე
1894 წელს იმოგზაურა კავკასიაში.

← **თბილისი. ხედი ბოტანიკური ბაღიდან**
ცენტრში მოსჩანს თბილისის პირველი ოპერის თეატრისა და სასულიერო სემინარიის შენობები
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]

ციტატა: ქალაქ თბილისის აღწერა. (1971). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა. თბილისი.

შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი საქართველოს და მისი დედაქალაქის, თბილისის, განვითარების ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს დედაქალაქის ცხოვრებაზე მკაფიოდ აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული სიახლეები. იზრდება დედაქალაქის საზღვრები, თბილისს ემატება ახალი უბნები – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – გარეთუბანი, რომელიც მოიცავდა თავისუფლების მოედნიდან სოლოლაკის ბაღებისა და დღევანდელი შოთა რუსთაველის გამზირის ტერიტორიას და მარცხენა სანაპიროზე – კუკია, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირის მიდამოებს მოიცავდა.[1] დაიწყო გეგმაზომიერი მშენებლობა და აიკრძალა უგეგმოდ შენობების აგება, გაჩნდა ახალი ქუჩები, ჩამოყალიბდა ქალაქის ახალი ცენტრი. „ერეკლეს მშვენიერი ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვენახებითა და ალვის ხეებით, ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებად", – წერდა თბილისში მყოფი ფრანგი მოგზაური, ჟაკ ფრანსუა გამბა (1826 წელი)" (ბერიძე, 1960:18–25).

ქალაქის განაშენიანებამ თანდათან ევროპული იერი მიიღო, რასაც არაერთი მოგზაური აღნიშნავდა. ემილ ლევიე XIX საუკუნის 90–იანი წლების თბილისს ასე აღწერდა: „მაღლიდან ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულ პარიზსა-მეთქი... ჩვენი სასტუმროს წინ ერთი ქუჩაა, პარიზის ბულვარივით ფართო, ხეებით და ევროპული მაღაზიებით შემკობილი. ტროტუარი უფრო ფართოა, ვიდრე აჭარის შარაგზა. მარცხნივ მთავარმართებლის სასახლეა და სხვა საზოგადო შენობები, მუზეუმი, წიგნთსაცავი და სხვ.... ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილისს არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუს ოფიცრებს, გლეხებს, ქალებს პარიზის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ და სხვ. ეტლის, ცხენის, რკინის გზის და სხვათა რახა-რუხისგან ყურთა სმენა აღარ არის" (მარგველაშვილი, ჭეიშვილი, 2020:65–66).

1 ქალაქს მოგვიანებით ემატება ვერე, ვაკე, დიდუბე, ნავთლუღი და სხვა (ბერიძე, 1963:49–50).



სკვერის პროექტი შეშის ბაზრის ადგილას (დღევანდელი პუშკინის სახელობის სკვერი თავისუფლების მოედანზე)
1884 წლის 15 ოქტომბერი

1884 წლის 21 მაისის სხდომაზე თბილისის მმართველობამ გაბრიელ თამამშევის ქარვასლასა და თბილისის სემინარიის შენობებს შორის ბაზრის გაუქმება და მის ადგილას სკვერის მოწყობა გადაწყვიტა. სკვერი გარშემორტყმული უნდა ყოფილიყო რკინის ცხაურიანი ღობით, რომელსაც ქალაქის რომელიმე სახელოსნო სასწავლებელი დაამზადებდა. სკვერის გამწვანებაზე ზრუნვა კი დაევალა გერმანელ მებაღე-დეკორატორსა და ბოტანიკური ბაღის დირექტორს, მეცნიერს – ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერს.
(სცსა ფ.192. ა.8. ს.660)

ქალაქში ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები – მოედნები, ბაღები, სკვერები, ზრუნავენ მათ კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე. ჩნდება ახალი დანიშნულების სახაზინო, კერძო, სამრეწველო, კულტურული თუ საგანმანათლებლო ნაგებობები. იქმნება სამეცნიერო დაწესებულებები – ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი, კავკასიის მუზეუმი. იცვლება ქალაქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, რომელიც ახალი დროითა და მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი (ბერიძე, 1960:27–28).

„რეგულარულმა გეგმარებამ, საზოგადოებრივი ნაგებობების ახალმა ტიპოლოგიამ, ნაგებობების ძველ ქალაქთან შედარებით გაზრდილმა ზომებმა, საზოგადოებრივი ბაღების გაჩენამ, ცხოვრების ახალმა სტილმა, გამდიდრებული ბურჟუაზიული ფენის მიერ აშენებულმა ვეებერთელა გასაქირავებელი სახლების სიმრავლემ თბილისში ახლებური მასშტაბი დაამკვიდრა და ქალაქის მკვრივი ქსოვილი ჩამოაყალიბა“ (მანია, 2018:16). ქალაქმშენებლობითი მასშტაბი კი ის მთავარი ტრადიციული ფაქტორია, რომელსაც ადგილობრივ ნიადაგზე დაეფუძნა ჯერ აღმოსავლეთიდან, შემდეგ კი ევროპიდან რუსეთის გზით შემოსული ტენდენციები.

შუა საუკუნეების ფეოდალური თბილისი თავისი ვიწრო, ლაბირინთული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ურბანული ქსოვილით ადგილს უთმობს ახალ, რეგულარული ქუჩებითა და ევროპული არქიტექტურული მხატვრული სახით გამორჩეულ ქალაქს. სწორედ ჩვენამდე მოღწეული ურბანული ქსოვილის მრავალფეროვან ღირებულებათა კომპლექსი და ახალი მხატვრული კომპოზიციური ერთიანობა განაპირობებს თბილისის არქიტექტურის სახის მნიშვნელობასა და ურბანულ ფენომენს, რუსეთის გზით საქართველოში შემოსული სხვადასხვა არქიტექტურული სტილის შენობები კი დედაქალაქის სახე ხდება.

ქალაქის ცენტრის საერთო ხედი სოლოლაკის მთიდან ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1910]

მხატვრული თვალსაზრისით, თბილისის არქიტექტურა ამ პერიოდში საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიხატავს, რომელიც კარგად ეხმიანება მის თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურულ სტილებს. თბილისში XIX საუკუნის დასაწყისში, თავდაპირველად, ვრცელდება რუსეთიდან შემოსული კლასიცისტური სტილი. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გვხვდება რენესანსული და ბაროკული სტილი; ამასთანავე, თავს იჩენს ნეოროომანტიზმისა და ისტორიზმის ნიშნები, რომელთა ნიმუშებიცაა მავრულ, რუსულ, ნეოგოთიკურ და ე.წ. „ქართულ“ სტილში გადაწყვეტილი არქიტექტურული ნაგებობები. XX საუკუნის 10–იანი წლებიდან კი დედაქალაქში ფეხს იკიდებს მოდერნი. თბილისის მთავარ – გოლოვინისა და მიხეილის (დღევანდელი შოთა რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის) – პროსპექტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება მრავალი ახალი დანიშნულების შენობა, რომელთა შორისაა გიმნაზიები, ინსტიტუტები თუ სხვა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის ოციან წლებამდე თბილისში აგებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი შენობების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ის ფოტო, დოკუმენტური თუ წერილობითი წყაროები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. აქ თავმოყრილი დოკუმენტები – არქიტექტორთა, ქალაქის მმართველთა თუ სხვა ოფიციალურ პირთა მიმოწერა, ხელშეკრულებები, ოქმები, მოხსენებითი ბარათები, დასკვნები, ნახაზები, პროექტები თუ ფოტოები[1] – გვაწვდის ინფორმაციას არა მარტო კონკრეტულ შენობასა და მის არქიტექტორზე, არამედ, ზოგადად, სასწავლებლის დაარსებასა და ქალაქში მიმდინარე სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ პროცესებზე. დოკუმენტებში ვრცლადაა განხილული, თუ როგორ ეძებდნენ სასწავლებლის ნაგებობის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსებს, როგორ გამოიყოფოდა სახელმწიფო სუბსიდიები მშენებლობის ხარჯების დასაფარავად თუ სხვა. მათში დაწვრილებითაა აღწერილი ყოველი საფეხური, თუ რა ეტაპების გავლა უწევდა ნებისმიერ შენობასა

1 საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სასწავლებლების ფონდებში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგი სახის დოკუმენტური მასალა: გიმნაზიების პედსაბჭოს თუ სამეურნეო ოქმები, წლიური ანგარიშები, მასწავლებელთა თუ მოსწავლეების პირადი საქმეები და მათი სიები, ატესტატები, საგამოცდო ჟურნალები, სასწავლო პროგრამები, თანამშრომელთა ნამსახურობის სიები, უწყისები, მოწმობები, თხოვნები გიმნაზიაში მიღების შესახებ, ოფიციალური მიმოწერა პედაგოგთა თუ აღსაზრდელების დაჯილდოების შესახებ, გიმნაზიისა და მისი შენობის მდგომარეობის შესახებ, ნაგებობის მშენებლობის, რემონტისა და გადაკეთების ხარჯთაღრიცხვები და სხვა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვხვდება სასწავლებელთა შენობების ნახაზები და პროექტები. ნახაზის არარსებობის შემთხვევაში კი შენობაზე წარმოდგენას საქმეში დაცული განმარტებითი ბარათები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტებში ჩასმული აღწერები გვიქმნის.

და მის ავტორს იდეიდან პროექტის დამტკიცებასა და მის განხორციელებამდე; რა მოთხოვნებს უყენებდა ქალაქი არქიტექტორს, ვარგისიანი სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციული თუ სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინებით. დოკუმენტურ მასალაში ნაჩვენებია, როგორ ამოწმებდა მშენებლობის ხარისხს სპეციალური კომისია, რომელშიც ჩართულნი იყვნენ თბილისში მოღვაწე თუ რუსეთის იმპერიიდან მოწვეული წამყვანი ინჟინრები და არქიტექტორები. სასწავლებლის რამდენიმე ძალზე საინტერესო ფოტო აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალურ კინოფოტოფონო არქივშიც. ამ ფოტო, წერილობითი თუ გრაფიკული მასალის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების, არქიტექტორის, თარიღის, გადაკეთებისა თუ, ზოგადად, არქიტექტურის ისტორიისა და თუნდაც დღეს უკვე არარსებული ან მრავალჯერ სახეცვლილი შენობების ავთენტური სახის აღდგენა.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში საგანმანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურა (თანამედროვე გაგებით) ჯერ კიდევ არ არსებობდა. სასწავლებლები, მაგალითად, პანსიონები, გიმნაზიები თუ სხვა, საკუთარ ან ხშირ შემთხვევაში თბილისის მოქალაქისგან გარკვეული ვადით იჯარით აღებულ, შედარებით კეთილმოწყობილ და დიდ სახლებში ეწყობოდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა ამა თუ იმ სასწავლებლის გარკვეულ მოთხოვნებს და სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე საკლასო ოთახის და დაწესებულებისათვის სხვა აუცილებელი სათავსოების მოწყობა. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასწავლებლების არქიტექტურა საცხოვრებელი, ქალაქური ტიპის სახლისგან არ განსხვავდებოდა. XIX საუკუნის 30–40–იანი წლებიდან კი ნელ-ნელა იწყება საგანგებოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შენობების მშენებლობა[1].

საგანგებოდ სასწავლებლისთვის აგებული შენობის არარსებობა კი ბევრ პრობლემას უკავშირდებოდა: 1. საგანმანათლებლო დაწესებულებას სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგალითად, არახელსაყრელი ადგილმდებარეობა თუ მოსწავლე-აღსაზრდელების მზარდი რაოდენობა, ხშირად უწევდა მისამართის შეცვლა; 2. საჭირო იყო იმგვარი შენობის მოძიება, რომელიც დააკმაყოფილებდა სასწავლებლის სპეციფიკურ მოთხოვნებს; 3. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ თუ სასწავლებელი ან შენობის მესაკუთრე არ აგრძელებდა იჯარას, სასწავლებელი ვალდებული იყო, და-

1 ამის პირველი მაგალითია 1830–იანი წლების მიწურულში თბილისში აგებული პირველი ვაჟთა გიმნაზიის შენობა გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) გამზირზე.

ებრუნებინა შენობა იმ სახით, როგორითაც იქირავა მფლობელისგან. ეს კი სასწავლებლისთვის დამატებით ფინანსურ ხარჯებს უკავშირდებოდა.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად, კულტურასთან ერთად, სწორედ განათლების სისტემა იქცა. სასწავლებელი წარმოადგენდა მთავარ იდეოლოგიურ საშუალებას, რომელიც რუსული ენის, ჩვეულებების, კულტურის გაცნობით ხელს შეუწყობდა იმპერიის ინტერესების ჩანერგვას ახალგაზრდა თაობაში და აღზრდიდა იმპერიის ერთგულ მოქალაქესა და დასაყრდენ სამოქალაქო თუ სამხედრო ძალას.

1802 წლიდან რუსეთის იმპერიაში საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა იწყება (Аристов, 1878:5). 1803–1804 წლებში იმპერატორ ალექსანდრ პირველის მიერ მიღებული ბრძანებულების თანახმად, იმპერიის მასშტაბით სასწავლებლები ოლქების მიხედვით უნდა გადანაწილებულიყვნენ. თავად სასწავლებლები იყოფოდა ოთხ კატეგორიად: 1. ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებიც ტაძრების მიმდებარედ იხსნებოდა; 2. სამაზრო ორკლასიანი სკოლები, რომლებიც სამაზრო ქალაქებში უნდა გახსნილიყო; 3. ოთხწლიანი საგუბერნიო სასწავლებლები ან გიმნაზიები; 4. უნივერსიტეტები[1] (Григорьев, 1900:295).

საქართველოში, XIX საუკუნის დასაწყისში, განათლების სისტემა მთლიანად დამოკიდებული იყო კავკასიის მთავარმართებლის შეხედულებასა და იმპერიის პოლიტიკაზე, რომლის მიხედვითაც XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე გავლენიან რუს მოხელეებს – კნორინგს, კოვალენსკის და სხვებს – მოსახლეობის განათლება მხოლოდ რუსული სკოლების დაარსებით წარმოედგინათ (სულაბერიძე, გურგენიძე, 2014:379–380).

XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრში, „დედაქალაქში", განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების რეფორმას[2]. დედაქალაქს ემატება ახალი უბნები, იზრდება თბილისის მოსახლეობა. საქართველოში ეტაპობრივად ვითარდება საქალა-

1 უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული ბრძანებულებისა, იმპერია დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო ბლოკავდა ამიერკავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის, უნივერსიტეტის გახსნას.

2 მიუხედავად ამისა, საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა კვლავ მცირე იყო. ამიტომ 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ქო ცხოვრება, საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ინდუსტრია, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტები და სხვა უცხოელები[1], რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, კვალიფიციურ მუშახელს, შესაბამისი ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე პირებს მოითხოვდა, რაზე ზრუნვაც რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ დაიწყო. XIX საუკუნის შუა ხანებში თბილისში არსებული ვიწრო პროფილის სასწავლებლების მცირე რაოდენობა ვეღარ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო სისტემისადმი არსებულ მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა დამატებით არა მარტო გიმნაზიების და საქალაქო-სამაზრო თუ სამრევლო სკოლების მშენებლობის საკითხი, არამედ, როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვის, სხვადასხვა ტიპისა და პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაც. XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე თბილისში ეტაპობრივად შეიქმნა შემდეგი პროფილის სასწავლებლები: სამხატვრო კურსები, კომერციული, რეალური, სავაჭრო, სახელოსნო, სარკინიგზო, საბაღოსნო, სასოფლო-სამეურნეო, მიწისმზომელთა, სამხედრო, სამედიცინო, მუსიკალური, ტექნიკური და სხვა[2].

სხვადასხვა პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ინტერესის გაზრდა ითვალისწინებდა ამავე პროფილის კვალიფიციური პედაგოგების აღზრდასაც, რამაც მოგვიანებით თბილისში სამასწავლებლო ინსტიტუტის დაფუძნება განაპირობა.

---

1 გერმანელმა კოლონისტებმა თბილისში გახსნეს ყინულის საწარმო, აგურის, ლუდის, საპნის, შოკოლადის ქარხნები, ლითონის, ხის, ეტლების დამამზადებელი საამქროები, ზინგერის სახელოსნო. ეს მანუფაქტურები, ძირითადად, თბილისის ახალ უბანში, კუკიაზე, იქმნებოდა. მრეწველობის განვითარებაში თავისი წვლილი სხვა უცხოელებმაც შეიტანეს. მათ შორისაა, ფრანგი ვაჭარი კასტელა, რომელმაც თბილისში აბრეშუმის ფაბრიკა დააარსა; თბილისში მცხოვრები შვეიცარიელი შტიუსე, რომელმაც მექანიკურო საწარმო გახსნა; მექანიკური ქარხანა კი ინგლისელმა რუქსმა აამუშავა. მოგვიანებით მანვე ააშენა თუჯსასხმელი საამქროც; ცნობილია, ასევე, თბილისში მცხოვრები საფრანგეთის ქვეშევრდომის, ა. ტოლეს, თამბაქოს ფაბრიკა და მრავალი სხვა. (ღუდუშაური,2009:115–140). იმართებოდა დიდი სამრეწველო გამოფენები.

2 თუმცა გამონაკლისის სახით იყო ფაქტები, როდესაც საზოგადოებაში სასწავლებლის გახსნის მოთხოვნის და სახალხო განათლების სამინისტროს სურვილის არსებობის მიუხედავად, ქალაქს უმაღლესი სასწავლებლის მოსაწყობად ბიუჯეტი არ ჰყოფნიდა. ამის მაგალითია ავლაბარში 1890–1905 წლებში სამთო-სამეწარმეო, სამშენებლო სასწავლებლის გახსნის მცდელობა, რომელიც, აუცილებლობის მიუხედავად, ფინანსური სახსრების არქონის გამო ვერ გაიხსნა და განათლების სამინისტრო ავლაბარში მხოლოდ პროგიმნაზიის დაარსებით შემოიფარგლა (სცსა ფ.192. ა.6. ს.1417).

ამავდროულად, ყურადღება გამახვილდა ქალთა განათლების როლზეც[1]. საქართველოში ქალებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ და საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ისინი აარსებდნენ სხვადასხვა სასწავლებელს, ხსნიდნენ კერძო პანსიონებს, საქველმოქმედო, მუსიკალურ, ტურისტულ თუ ფოტოხელოვანთა საზოგადოებებს. XIX საუკუნის შუა ხანებიდან იხსნება ქალთა არა მარტო კერძო თუ სახაზინო პანსიონები, გიმნაზიები და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, არამედ სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებიც. თბილისში გვხვდება ქალთა სამრევლო სკოლები, საეპარქიო, სამედიცინო, სამასწავლებლო, სახელოსნო თუ მუსიკალური სასწავლებლები, პროფესიული სახელოსნოები, სადაც მათ სხვადასხვა ხელსაქმეს ასწავლიდნენ, უმაღლესი კურსები, რომელიც თავისი მნიშვნელობით უმაღლეს სასწავლებელს უტოლდებოდა.

ზემოთ მოყვანილ სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, თბილისში XIX საუკუნის 30–იანი წლებიდან არსებობდა ვაჟთა და ქალთა პანსიონები და კერძო სასწავლებლებიც[2]. მათ დამფუძნებლად, დირექტორებად თუ პედაგოგებად გვევლინებიან პირები, რომლებიც ასწავლიდნენ თბილისის სხვადასხვა გიმნაზიაში. ამგვარი სასწავლებლების შესახებ ეროვნულ არქივში არაერთი დოკუმენტია დაცული, რომელიც გვატყობინებს როდის, ვის მიერ და რომელ შენობაში გაიხსნა კონკრეტული პანსიონი თუ კერძო სასწავლებელი. ხშირ შემთხვევაში ამ დაწესებულებებს ცალკე შენობა არ ჰქონდათ და მათი დამფუძნებლები თბილისის მოქალაქეებისგან იჯარით ქირაობდნენ დიდ სახლებს. დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ პანსიონის გახსნისას მსურველებს სასწავლო უწყებიდან ნებართვა უნდა აეღოთ. სასწავლებლის დამფუძნებლებს სპეციალური სასწავლო კომისიის წინაშე უნდა წარედგინათ სასწავლო გეგმა, პროგრამა და რაც მთავარია, მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები სპეციალური კურსების გავლის გათვალისწინებით.

---

1 თბილისში ქალთა პირველი სასწავლებელი 1830–იან წლებში იხსნება.

2 ვაჟთა კერძო სასწავლებლებისა და პანსიონების არასრული სია: ხაჩატურ აბოვიანის (სცსა ფ.424. ა.1.ს.43; სცსა ფ.424. ა.1.ს.61), ძმებ იაკობ და დავით არზანოვების (სცსა ფ.424. ა.1.ს.77), თბილისის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის, გაბრიელ ირიცპუხოვის (სცსა ფ.424. ა.1.ს.138), საფრანგეთის ქვეშევრდომის, პანსარის (სცსა ფ. 424. ა.1. ს.144), თბილისის გიმნაზიის მთავარი მასწავლებლის, რაევსკი-კრესტიანოვის (სცსა ფ.424. ა.1.ს.106) და სხვა.

ქალთა კერძო სასწავლებლებისა და პანსიონების არასრული სია: ფრანგულის მასწავლებლის, პერეირას და მისი მეუღლის, ანას (სცსა ფ.424. ა.1.ს.78), საფრანგეთის ქვეშევრდომის, სელესტინა-ანა ტოლეს (სცსა ფ.424. ა.1.ს.86; ს.35), კოლეგიის ასესორის, დე სენ ტომას ფრანგული პანსიონი (სცსა ფ.424. ა.1. ს.120), თბილისის გუბერნიის მდივნის, მონასტირსკისა და მისი მეუღლის, ევდოკიას (სცსა ფ.424. ა.1.ს.92), ანა შტირის (სცსა ფ.8. ა.1. ს.1635), ამიერკავკასიის ინსტიტუტის ტიტულარული სავეტნიკის, ევგენია ფავრის (სცსა ფ.422. ა.1. ს.43) და სხვა.

უნდა ჰქონოდათ უნივერსიტეტის, გიმნაზიის დირექტორის ან უფროსი მასწავლებლის დიპლომი, რასაც კომისია მკაცრად აკონტროლებდა. კერძო პანსიონებისა და სკოლების მეთვალყურეობა განსაკუთრებულ ინსპექტორებს ევალებოდათ (ძიმისტარაშვილი, 1937:135).

თბილისში ამავე პერიოდში მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, ლუთერანულ, სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებთან იხსნება სამრევლო სკოლები, არსდება მუსლიმური სასწავლებლები. მართალია, ეს ერთსართულიანი, მარტივი გეგმარების, მცირე ზომის ნაგებობებია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მათ თბილისში მოღვაწე ცნობილი არქიტექტორები აპროექტებენ.

საარქივო დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა თბილისისა და მისი განვითარებისთვის მზრუნველი არაერთი ქალაქის თავის, მეწარმის, მოქალაქის გვარი, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით თუ ფინანსური დახმარებით ზრუნავდნენ თბილისში საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაზე. მათი ფინანსური დახმარებით შენდებოდა სკოლები, იხსნებოდა სხვადასხვა პროფილის სასწავლებლები, ახალგაზრდები იგზავნებოდნენ სასწავლებლად საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, არსდებოდა მათი სახელობის სტიპენდიები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კონსტანტინე ზუბალოვის (ზუბალაშვილის), დავით სარაჯიშვილის, ალექსანდრე მატინოვის (მათიაშვილის), ვასილ ჩერქეზიშვილის, ბარბარა თამამშევას, შიოევისა და მისი ქვრივის, ნატალიას, მირზოევების, ისააკ თუმანოვისა და მისი ქვრივის, ნატაშა თუმანოვას, ივან მარკუზოვის, სოლომონ ამიროვის, არტემ შამხაროვისა და მისი მეუღლის, თბილისის ყოფილი გუბერნატორის მეუღლის, ელენე გაგარინის და სხვათა როლი თბილისის საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისა და სასწავლებლების მშენებლობის საქმეში.

ცალკე უნდა გამოიყოს სასწავლებლებზე მზრუნველი საქველმოქმედო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამები, რომელსაც საქართველოს ეროვნულ არქივში მთელი ფონდები ეთმობა. თბილისში არსებული წმინდა ნინოს სახელობის (სცსა ფ.219. ა.1. ს.27), ევანგელურ-ლუთერანული (სცსა ფ.1741. ა.1. ს.6, ს.7, ს.8, ს.13), თბილისის წმ. პეტრე-პავლეს კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული (სცსა ფ.1645. ა.2. ს.20) და სომეხ ქალთა (სცსა ფ.36. ა.1. ს.14) საქველმოქმედო ორგანიზაციების მთავარი მიზანი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

იყო. ისინი თბილისსა და სხვადასხვა ქალაქში აარსებდნენ ბავშვთა თავშესაფრებს, ხელს უწყობდნენ ახალი სკოლებისა და სასწავლებლების გახსნას, ზრუნავდნენ გაჭირვებულ და ობოლ ბავშვებსა და მათ განათლებაზე.

როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისმა სრულიად იცვალა სახე. დედაქალაქი გაიზარდა, დაემატა ახალი უბნები, გაჩნდა რეგულარული ქუჩები და გამზირები, სადაც დიდ ადგილს ახალი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, კეთილმოწყობილი სკვერები და ბაღები იკავებდნენ, რაც ცხოვრების ახალი წესიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა. შემოვიდა და გაჩნდა ახალი არქიტექტურული მხატვრული სტილები – კლასიცისტური, რუსული, ნეორენესანსული, ნეობაროკული, ნეოგოთიკური თუ მოდერნი. შემოსულ ახალ, ევროპულ ფორმას თბილისმა თავისი მრავალსაუკუნოვანი სამშენებლო გამოცდილება დაახვედრა, ახალი გადაამუშავა და შექმნა სრულიად უნიკალური, გამორჩეული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული სახე; ზოგ შემთხვევაში შეეცადა, აღედგინა ეროვნული მოტივები, რომელიც სტილიზაციის სახით ზოგიერთ საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე გვხვდება. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლინება უნდა იყოს „ქართული სტილის“ შენობების გაჩენაც[1]. ამ პერიოდში აგებული სხვადასხვა სასწავლებლის ნაგებობები კი ახალი სიტყვაა დედაქალაქის არქიტექტურაში, რომელიც თავის ადგილს იკავებს არა მარტო თბილისის, არამედ მსოფლიო არქიტექტურის საერთო სურათში.

ქვემოთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით[2] მოყვანილია საქართველოს ეროვნულ არქივში გამოვლენილი ისტორიული მნიშვნელობითა და არქიტექტურული სახით გამორჩეული, ყველასთვის ცნობილი ან უცნობი, დღეს არსებული ან უკვე არარსებული სასწავლებლების არქიტექტურის მაგალითები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს, ისე ქალაქის

1 „ქართული სტილის“ შესახებ ვრცლად იხ. ხოშტარია დავით, 2016, არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801–1918); ასევე, გერსამია თამაზ, 2006, „ქართული სტილი“ თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, სპექტრი.

2 გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასწავლო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი თავდაპირველად ფუნქციონირებდა მისთვის დროებით განკუთვნილ ნაგებობებში და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ გადადიოდნენ მათთვის სპეციალურად აგებულ შენობებში.

არქიტექტურის სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს შენობები, რომლებიც თავისი იდეური მნიშვნელობითა და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით ამ პერიოდის საგულისხმო ძეგლებს წარმოადგენენ, საგანგებოდ ავირჩიეთ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი მხატვრული სტილები ვრცელდება XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისში.

დეტალი, რუსული საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების
თბილისის განყოფილების შენობის პროექტიდან
(დღევადნელი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია)
ალ. გრიბოედოვისა და ა. კრუზენშტერნის (დღევანდელი მ. ლაღიძის) ქუჩების კუთხეში

არქიტექტორი ალექსანდრ შიმკევიჩი
თბილისი, 1901 წლის 22 მარტი
პროექტი დამტკიცებულია 1901 წლის 22 ივნისს
(სცსა ფ.192 ა.8ა. 6615)



კეთილშობილთა სასწავლებელი

პირველი სასწავლო დაწესებულება, რომელიც რუსეთის იმპერიის ძალაუფლების დამყარების შემდეგ თბილისში გაიხსნა, კეთილშობილთა სასწავლებელი იყო. რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) ქართლ-კახეთის სამეფოში, საქართველოს მმართველის, პეტრე კოვალენსკის მიერ 1802 წლის 22 სექტემბერს გახსნილი ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებელი რუს მოხელეთა და ქართველ დიდებულთა შვილებისთვის იყო განკუთვნილი[1] (Тер-Егиазаров, 1906:19; Акты, т. I, 1866:510). სასწავლო კურსისა და მართვის პროცესის არასწორად დაგეგმვის გამო სასწავლებელი მალევე დაიხურა[2].

1803 წელს თბილისში ჩამოსულ თავად პავლე ციციანოვს თბილისში სასწავლებელი აღარ დახვედრია, ხოლო შენობა, რომელსაც სასწავლებელი კერძო პირისგან ქირაობდა, მან შენობის მფლობელის თხოვნით დააბრუნა (Акты, т. II, 1868:197). ამავე წლის 25 ივლისს ციციანოვმა თბილისში სასწავლებლის პროექტი დაამტკიცა (Тер-Егиазаров, 1906:19). ეს სასწავლებელი 1804 წლის 21 მაისს გაიხსნა. ციციანოვმა პედაგოგები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქიდან მოიწვია და სასწავლო ლიტერატურაზეც იზრუნა. სასწავლებლის შესანახად ხაზინიდან 10 000 მანეთი გამოიყო (Акты, т. II, 1868:199).

საგანმანათლებლო სისტემა ნელ-ნელა ვითარდებოდა, 1806–1807 წლიდან კეთილშობილთა სასწავლებლის სასწავლო პროგრამაში შეიტანეს დამატებითი საგნები, რომლებიც საგიმნაზიო სწავლების პროგრამით იყო გათვალისწინებული: ცეკვები, ადგილობრივი ენები, გეოდეზია, არქიტექტურა, საველე ფორტიფიკაცია და ა.შ.[3] (Акты, т. VI, 1874:134)

---

1 სასწავლებელში 45 აღსაზრდელი მიიღეს. დაწესებულება კათალიკოსმა ანტონ მეორემ აკურთხა. გახსნის ცერემონიალში საქართველოს მთავარმართებელი და საქართველოში მცხოვრები რუსი გენერლები მონაწილეობდნენ.

2 სხვადასხვა ადმინისტრაციული პრობლემის არსებობასთან ერთად, აღსაზრდელებისთვის რთული აღმოჩნდა მათთვის უცნობ რუსულ ენაზე საგნების სწავლა (Акты, т. II, 1868:197; თავზიშვილი, 1948:14).

3 როგორც თავში აღვნიშნეთ, სასწავლებლის პოლიტიკას საქართველოში თავად კავკასიის მთავარმართებელი განსაზღვრავდა. მაგალითად, ტორმასოვის დროს გაჩნდა კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებლის დაარსების იდეა (Акты, т. V, 1873:24). რადგან ტორმასოვი ხედავდა ადგილობრივი ხალხის სამხედრო საქმისკენ მიდრეკილებას, იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას შესთავაზა, თბილისში გაეხსნათ კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებელი, თუმცა 1811–1812 წლებში რუსეთის იმპერიაში არსებული რთული ვითარების გამო სამხედრო სასწავლებლის გახსნა გადაიდო (სულაბერიძე, გურგენიძე, 2012/2013:386–387; Акты, т. IV:58.).



პასკევიჩ-ერივანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედნის გენერალური გეგმა
გეგმაზე სემინარიის, ქარვასლის, საქალაქო სახლის შენობებსა და ბულვარს შორის მონიშნულია დაგეგმილი სკვერი (შუშის ბაზრის ადგილას) და გიმნაზიის შესახვევი (სავარაუდოდ, ამ ქუჩაზე უნდა ყოფილიყო თავის დროზე კეთილშობილთა სასწავლებელი). (სცსა ს.192. ა.8. ს.660)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების თანახმად, სასწავლებელი გარეთუბანში, ერივანსკის ქუჩა N6–სა და პასკევიჩ-ერივანსკის მოედანს შორის მდებარეობდა (სავარაუდოდ, სასახლის ქუჩასა და გუდიაშვილის ქუჩის კუთხეს შორის (დღევანდელი თავისუფლების

მოედნის მიმდებარე ტერიტორია). აღწერაში წერია, რომ ერთი ფლიგელი ერივანსკის მოედნისკენ გადიოდა). არქიტექტორ დემიდოვისა და პოლიციის უფროსის, მაიორ მინჩენკოვის 1831 წლის 26 ნოემბრის მიმოწერაში ვკითხულობთ შენობის აღწერას: „სასწავლებელი შედგებოდა მთავარი კორპუსის, ორი – გვერდითი, ერთი უკანა ფლიგელისა და ორი უკანა ეზოსაგან. ყველა ფლიგელი იყო გალესილი და შეღებილი ყვითლად და გადახურული კრამიტით. მთავარი ანუ შუა კორპუსი წარმოადგენდა ქვის ერთსართულიან შენობას მეზონინით. მარჯვენა ფლიგელი: ქვის ერთსართულიანი შენობა სარდაფით, ცოკოლზე. მარცხენა ფლიგელი: ქვის ერთსართულიანი ნაგებობა მეზონინით. უკანა ფლიგელი: ქვის ერთსართულიანი ნაგებობა სარდაფით. შენობათა კომპლექსს გარს ერტყა ქვის გალავანი და ჰქონდა დიდი პარადულად მოწყობილი ჭიშკარი“ (სცსა ფ.2. ა.1. ს.2668).

XIX საუკუნის 20–იანი წლების ბოლოს კეთილშობილთა სასწავლებელი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნებს (რაც განპირობებული იყო სწავლის მსურველთა მზარდი რაოდენობით) და 1827 წელს დღის წესრიგში დადგა სამაზრო სასწავლებლების გახსნა სხვა ქალაქებშიც და კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება. სასწავლო დაწესებულებების 1829 წლის დებულების თანახმად, კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, რომელთანაც გაიხსნა პანსიონი (Акты, т. VI, 1881:97–98). კეთილშობილთა სასწავლებლის შენობა 1829–1830 წლებში გარემონტდა და გიმნაზია ახლად დაარსებულ პანსიონთან ერთად მოთავსდა ამ შენობაში, მაგრამ ნაგებობა როგორც თავისი მოცულობით, ისე მდებარეობითა და არამდგრადი ფუნდამენტით სრულიად შეუფერებელი იყო აღნიშნული სასწავლებლისთვის.

ყოფილი მთავარმართებლის, ვარშავის გრაფის, გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩ-ერივანსკის ბრძანებით, 1830 წლის დასაწყისში საინჟინრო უწყებამ შეიმუშავა გიმნაზიის ახალი შენობის გეგმა და ფასადი. ეს უნდა ყოფილიყო ორსართულიანი შენობა მთავარი და რამდენიმე გვერდითი ფლიგელით, რომელშიც მოეწყობოდა ლაზარეთი აფთიაქით და იქვე განთავსდებოდა მომსახურე პერსონალის ბინებიც. ეზოში იქნებოდა საწყობი, საყინულე, სამეურნეო დანიშნულების ოთახები, თავლა და გალერეა, რომელიც დერეფნით დაუკავშირდებოდა მთავარ ფლიგელს. შენობა უნდა აგებულიყო გიმნაზიისთვის ძალზე ხელსაყრელ ადგილას – მეფის მოედანზე, მაგრამ უსახსრობის გამო ეს პროექტი დროებით შეჩერდა (სცსა ფ.2. ა.1. ს.2668). აქედან გამომდინარე, გიმნაზია და კეთილშობილთა პანსიონი კიდევ რამდენიმე წელი დარჩა ძველ მისამართზე. მეფის მოედანზე მოგვიანებით ვაჟთა პირველი გიმნაზია აშენდა.

თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია

XIX საუკუნის 30–იანი წლების მიწურულს თბილისში, კალასა და გარეთუბნის გასაყარზე, პასკევიჩ-ერივანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე ცნობილმა ქართველმა მეცენატმა იაკობ ზუბალაშვილმა სახლის მშენებლობა წამოიწყო. მონუმენტური, კლასიცისტური ნიშნებით გამორჩეული ნაგებობა (დღევანდელი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი) შვეიცარიელი არქიტექტორის, ჯუზეპე ბერნარდაცის (1788–1840) პროექტით აიგო. შენობის მეპატრონემ ეს ნაგებობა მალევე მიჰყიდა საქართველოს სასულიერო მმართველობას და 1840 წელს „თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია“, რომელიც 1817 წელს დაარსდა, აღნიშნულ მისამართზე გადავიდა (ბერიძე, 1960:54), სადაც 1910–1911 წლამდე დარჩა (1912 წელს სემინარია ძველი ქალაქიდან შორს, ვაკეში გადავიდა, 1903 წელს ალექსანდრ როგოისკის მიერ აშენებულ შენობაში).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ყოფილი სასულიერო პირი ესტატე მირიანაშვილი იგონებს: „ეზოს მხრივ ამ შენობას ჰქონდა მთელ სიგრძეზე ორი აივანი, შენობა იყო ოთხსართულიანი, სულ ძირითა სართული მიწაში იყო, წარმოადგენდა სარდაფებს... სემინარიის პირდაპირ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გაშენებული ეხლანდელი პუშკინის ბაღი. აქ თავისუფალი მოედანი იყო, სადაც აყენებდნენ შეშის ურმებს და იმართებოდა ბაზრობა“ [1]. 1884 წელს აღნიშნული ბაზარი აიღეს და მის ადგილას სკვერი გააშენეს.

1 ესტატე მირიანაშვილის მოგონებები, 2018 (მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები), ტექსტი გადმოწერა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო თამთა შონვაძემ. გვ. 27

↑ თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია (დღევანდელი შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმი)

↓ თბილისის ყოფილი მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის შენობის (დღევანდელი შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმის) გადაკეთების პროექტი
თბილისი, 1914 წლის 21 მარტი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.9739)





↑→**თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის შენობაზე ლორის-მელიქოვის ქუჩის მხრიდან (დღევანდელი შალვა ამირანაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების მუზეუმი ლადო გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან) ფლიგელის მიშენების პროექტი**

მიშენების პროექტის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

პროექტი განხილული და დამტკიცებულია თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილების ტექნიკოსების მიერ 1890 წლის 21 აპრილის N20 პროტოკოლით. პროექტი 1890 წლის 23 აპრილს დაამტკიცა თბილისის გუბერნატორმა თავადმა შერვაშიძემ.

(სცსა ფ.204. ა.1. ს.2189)


Утверждаю
ПРОЕКТЪ
ФАСАДЪ по ДЕ
ПЛАНЪ ПОДВАЛА

თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის შენობა (ყოფილი მეცხრე საავადმყოფო)
1912–1913 წწ.
არქიტექტორი ალექსანდრ როგოისკი

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ალექსანდრ როგოისკის მიერ დაპროექტებული სასულიერო სემინარიის შენობა ახალი უბნის (ვაკის) ერთ-ერთ მასშტაბურ ნაგებობას წარმოადგენდა. არქიტექტორი თავის შემოქმედებაში ფართოდ მიმართავს სხვადასხვა მხატვრულ სტილს: რუსულს, რენესანსულს, მოდერნს. მან მართლმადიდებლური სემინარიის ახალი შენობისთვის სწორედ რუსული როპეტის სტილი აარჩია, რომელიც აგურისგან ნაგები სამსართულიანი შენობის მხატვრულ გაფორმებაში გამოვლინდა: კედელში ამოყვანილი აგურის ორნამენტები, დეკორატიული თაღედი, გადატვირთული არქიტექტურული ფორმები და ხახვისებური გუმბათები, რომელიც რუსული ეროვნული მოტივებიდან გამომდინარეობს.



თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის (ყოფილი მეცხრე საავადმყოფოს) პროექტი, სარდაფის სართული

არქიტექტორი ალექსანდრ როგოისკი

პროექტი განხილული და დამტკიცებულია 1901 წლის 29 მაისს.

(სცსა ფ.204. ა.1. ს.4186)



თბილისის მართლმადიდებლური სემინარიის (ყოფილი მეცხრე საავადმყოფოს) პირველი სართული
არქიტექტორი ალექსანდრ როგოისკი
პროექტი განხილული და დამტკიცებულია 1901 წლის 29 მაისს..
(სცსა ფ.204. ა.1. ს.4186)



თბილისის მართლმადიდებლური სემინარიის (ყოფილი მეცხრე საავადმყოფოს) სარდაფის სართული
არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი
თბილისი, 1899 წელი
პროექტი განხილული და დამტკიცებულია 1900 წლის 28 მარტი–25 აპრილს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.4186)

თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის (ყოფილი მეცხრე საავადმყოფოს) სამრეკლოს პროექტი
არქიტექტორი ალექსანდრ როგოისკი
თბილისი, 1903 წლის 10 აპრილი
(სცსა ფ.204. ა.1. ს.4186)



თბილისის სასულიერო სასწავლებელი

სასულიერო სასწავლებელი 1817 წელს დაარსდა. საქართველოს ეროვნულმა არქივმა შემოგვინახა ეგზარქოს პალადის მიერ დამტკიცებულ სასულიერო სასწავლებლის შენობაზე ფლიგელის მიშენების პროექტი. სასწავლებელი მდებარეობდა ავჭალის ქუჩაზე N26.



სასულიერო სასწავლებლის პროექტი
არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი
გადაკეთების პროექტი შედგენილია 1890 წლის 14 აპრილს.
თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილების ტექნიკოსების მიერ
დამტკიცებულია 1890 წლის 7 მაისს.
თბილისის გუბერნატორმა თავადმა შერვაშიძემ დაამტკიცა 1890 წლის 16 მაისს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.2189)

კათოლიკური სასწავლებელი

თბილისში ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკურ ეკლესიასთან სამრევლო სკოლა ტაძრის აშენებისთანავე დაარსდა. ფილიპე ფორანოელის მიერ 1817 წლის 14 მაისს რომში მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „იმედი მაქვს, მართლაც ჩვენი ეკლესია შეიქმნეს ყველაზე მშვენიერი. ეგრეთვე სკოლაც ავაშენებინე და დავასრულებინე ბატონ რუსთა შორის მოკრეფილი ფულით“ (თამარაშვილი, 1902:507).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ 1875 წლისთვის კათოლიკეთა ქუჩაზე ღმრთისმშობლის ეკლესიასთან არსებული ქალთა და ვაჟთა სამრევლო სკოლის შენობები სიძველის გამო მძიმე მდგომარეობაში იყო, რის გამოც ეს ნაგებობები დაანგრიეს და მათ ადგილას ახალი შენობა ააშენეს. 1876 წელს მშენებლობისთვის საქალაქო კაპიტალი გამოიყო, თუმცა, ამასთანავე, მოხსენიებულია გიორგი ზარადგოვის შემოწირულებაც. დოკუმენტების თანახმად, სკოლის სარდაფიანი ორსართულიანი შენობის ჯერ არდამტკიცებული პროექტი ორ ეგზემპლარად წარადგინა ინჟინერ-არქიტექტორმა ფანასევიჩმა. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, შენობის პირველ სართულზე ვაჟთა სასწავლებელი უნდა განთავსებულიყო. აქ იქნებოდა ხუთი ოთახი დერეფნით, საპირფარეშოთი, ბიბლიოთეკითა და საგამოცდო დარბაზით. შესასვლელი სასწავლებელს ეკლესიის ეზოდან უნდა ჰქონოდა. ქალთა სასწავლებელი ზედა სართულზე მოთავსდებოდა, სადაც საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკისა და საპირფარეშოს გარდა იქნებოდა დარბაზი ხელსაქმისთვის. ქალთა სასწავლებლისთვის გამოიყოფოდა ვაჟებისგან დამოუკიდებელი 19 კვადრატული საჟენი ფართობის ეზო (სცსა ფ. 1645. ა.1. ს.34).



თბილისში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ღმრთისმშობლის ტაძართან არსებული ერთსართულიანი ქვის შენობის პროექტი სარდაფით სკოლისთვის, კათოლიკეთა ქუჩაზე
თბილისი, 1875 წელი
(სცსა ფ.1645. ა.1. ს.27)



თბილისში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიწის ნაკვეთზე ღმრთისმშობლის ტაძართან არსებული ორსართულიანი ქვის შენობის პროექტი სარდაფით სკოლისა და ზუბალოვის ქარვასლის სათავსოებისთვის, კათოლიკეთა ქუჩაზე

თბილისის საგუბერნიო სამართველოს სამშენებლო განყოფილების მიერ პროექტი განხილული და დამტკიცებულია 1876 წლის 4 თებერვალს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.2521)



თბილისში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ღმრთისმშობლის ტაძართან არსებული ორსართულიანი ქვის შენობის პროექტი სარდაფით სკოლისთვის, კათოლიკეთა ქუჩაზე
პროექტი დამტკიცებულია 1879 წლის 6 ივლისს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.236)

ლუთერანული სასწავლებელი

1818 წელს გერმანიიდან საქართველოში ჩამოსულმა ვიურტემბერგელმა ოჯახებმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კოლონიები შექმნეს. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მათ დასახლება „ახალი ტფილისი" დააარსეს. აქ ახლად ჩამოსახლებული გოგო-ბიჭებისთვის მაშინვე გაიხსნა საკვირაო სკოლა, 1819 წლის ივლისში კი – წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის სამრევლო სკოლა, რომელმაც საუკუნეზე მეტ ხანს იარსება[1] (მარგველაშვილი, 2021:159).

საქართველოს ეროვნულ არქივში შემონახულია ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის სამრევლო სკოლის სხვადასხვა პროექტი და წმ. პეტრესა და პავლეს ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიასთან არსებული სკოლის საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშები. 1878 წლის 9 ოქტომბერს დამტკიცებული წესდების მიხედვით, საზოგადოების მთავარი მიზანი უქონელი და გაჭირვებული აღსაზრდელების დახმარება იყო, რაც, ძირითადად, სწავლის საფასურის გადახდაში გამოიხატებოდა.



ლუთერანული ეკლესიის საბჭოს საკუთრებაში არსებული სკოლის ერთსართულიანი ქვის შენობის პროექტი ბარონისა (დღევანდელი ფურცელაძისა) და მჭედლის ქუჩების კუთხეში
ნახაზი შესრულებულია შტაბსკაპიტან გორსკის მიერ. (სცსა ფ.205. ა.1. ს.579)

1 ვრცლად თბილისის გერმანულენოვანი სკოლების შესახებ იხ. ნინო ლეჟავა, კალენდულა და ლურჯი ღილი. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018:36–78.



თბილისის ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიასთან არსებული სასწავლებლის მიშენების პროექტი

არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

თბილისი, 1869 წლის 8 მაისი

პროექტი კომისიის მიერ დამტკიცებულია 1869 წლის 12 ივლისს.

(სცსა ფ.204. ა.1. ს.2507)



წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერანულ ეკლესიასთან არსებული სკოლის პროექტი საზოგადოებრივ მიწაზე, მიხეილის ქუჩაზე

არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

პროექტი განხილული და დამტკიცებულია თბილისის საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყოფილების მიერ 1876 წლის 27 ივნისს.

(სცსა ფ.204. ა.1. ს.2502)

წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერანულ ეკლესიასთან არსებული სკოლისთვის ერთკლასიანი ოთახის მიშენების პროექტი, ეკლესიის მიწაზე, მიხეილის ქუჩაზე

არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

პროექტი დამტკიცებულია 1888 წლის 4 აპრილს.

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.2178)







ლუთერანული საქველმოქმედო საზოგადოების შენობაზე მეორე სართულის დაშენების პროექტი თბილისში, კირხეს ქუჩაზე

არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

თბილისი, 1898 წლის 17–20 იანვარი

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.5628)

ნერსესიანის სემინარია

სომხური ეკლესიის თბილისის არქიეპისკოპოსის, ნერსეს აშტარაკელის[1] ინიციატივით, 1824 წელს თბილისში სომხური სკოლა გაიხსნა. სასწავლებელი გარეთუბანში, ფოსტის, იგივე სალდათის ბაზრის მოედანზე (დღევანდელი ორბელიანის მოედანი) მდებარეობდა და განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ადგილობრივი სომხური წარმომავლობის მოქალაქეების განათლების საქმეში.

ეს „აგურით ნაგები, დიდი, ორსართულიანი, სვეტებიანი პორტიკებით დამშვენებული შენობა ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად ითვლებოდა ერმოლოვის დროინდელ თბილისში". შენობა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა 1822–1824 წლებში ააგებინა (ხოშტარია, 2011:14).

1837 წელს სკოლა სომხურ-გრიგორიანულ სასულიერო სემინარიად გადაკეთდა (სხირტლაძე, 2023:34–35). ნერსესიანის სემინარია რომ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1841 წელს სემინარიაში დაარსდა ტიპოგრაფია, სადაც ოთხ ენაზე ბეჭდავდნენ (სცსა ფ.2. ა.1. ს.7430).

„დიდი სამუშაოების ორგანიზატორთა შორის ყველაზე მეტად თბილისის სომეხი არქიეპისკოპოსი ნერსესი გამოირჩეოდა. ამ სახელოვანმა პრელატმა ახალ ქალაქში უზარმაზარი ქარვასლა ააგო, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ქალაქში ალბათ ფართო ვაჭრობა გაიშლება. ქარვასლის შენობას ეპისკოპოსმა სასწავლებელიც მიუშენა, სადაც განზრახული აქვს, მოიწვიოს აზიური და ევროპული ენების მასწავლებლები და თავის თანამემამულეებს მისცეს განათლება, რასაც ისინი აქამდე ზოგადად მოკლებულნი იყვნენ (ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა კავკასიაში, 2021:77)".

---

1 სომხური სამოციქულო ეკლესიის კათალიკოსი 1849–1857 წლებში ნერსეს V

სემინარიის ძველი შენობა აღსაზრდელებს ვეღარ იტევდა, ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგება გახდა საჭირო. ალექსანდრ მანთაშევმა არსენალის მთაზე, დღევანდელი მახათას მთის ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთი იყიდა. 1908 წელს ჟურნალ Зодчий-ში (Зодчий, 1908, #40, 5. X, გვ. 377–378) შენობის პროექტზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც სამოქალაქო ინჟინრის, ს. ა. მორავიცკის პროექტმა გაიმარჯვა, მაგრამ შენობა არქიტექტორების – მ. ნეპრინცევისა და პ. ზურაბიანის პროექტით ააშენეს და იგი 1911 წელს საზეიმოდ გაიხსნა. ნერსესიანის სემინარიის ახალი შენობა (დღევანდელი კავკასიის უნივერსიტეტი) „სომხური ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმების სტილიზაციის მაგალითს“ წარმოადგენს (ბერიძე, 1863:94).



გარეთუბანში ფოსტის მოედნის (დღევანდელი ორბელიანის მოედანი) გენერალური გეგმა, რომელზეც დატანილია სომხური სასწავლებლისა და ქარვასლის გეგმები
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.10544)



სომხური სასულიერო სემინარიის შენობის პროექტი
პროექტის არქიტექტორი – კონდუქტორი მარკოვი
პროექტი დამტკიცებულია ქალაქის თავის მიერ 1868 წლის 23 სექტემბერს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.2504)



ნერსესიანის სახალხო-სასულიერო სემინარიის ქვის ორსართულიანი შენობის პროექტი საკუთარ მიწის ნაკვეთზე, სალდათის ბაზარზე (დღევანდელი ორბელიანის მოედანი).
პროექტი დამტკიცებულია თბილისის გუბერნატორის მიერ 1871 წლის 7 დეკემბერს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.2511)

ნერსესიანის სომხური სახალხო-სასულიერო სასწავლებლის შენობის პროექტი
პროექტი დამტკიცებულია თბილისის გუბერნატორის მიერ 1873 წლის 26 ივნისს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.2516)





ნერსესიანის სომხური სასულიერო სასწავლებლის არსებული ორსართულიანი ქვის შენობის გადაკეთების პროექტი, სალდათის ბაზარზე (დღევანდელი ორბელიანის მოედანი)
თბილისი, 1887 წლის 30 დეკემბერი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.2181)



ნერსესიანის სასულიერო სემინარიის საბჭოს მიერ დაგეგმილი ქვის ახალი ორსართულიანი ფლიგელის პროექტი საკუთარ მიწაზე, თბილისში სომხის ბაზართან
პროექტი განხილული და დამტკიცებულია 1897 წლის 8 აგვისტოს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.4975)



სომხური სასულიერო სემინარიის მიწაზე დაგეგმილი დუქნების შენობის პროექტი
შენობა გენერალური გეგმის მიხედვით, სალდათის ბაზრის მოედანზე
(დღევანდელი ორბელიანის მოედანი) მდებარეობდა.
(სცსა ფ.204. ა.1. ს.4155)



ნერსესიანის სომხური სემინარიის გენერალური გეგმა
არსენალის მთაზე
(სცსა ფ.204. ა.1. ს.4056)





ნერსესიანის სასულიერო სემინარიის
(დღევანდელი კავკასიის უნივერსიტეტის) შენობა

ვაჟთა პირველი გიმნაზია

ვაჟთა პირველი გიმნაზიის (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია, შოთა რუსთაველის პროსპექტი N10) მშენებლობა 1830–იან წლებში დაიწყო და ნაგებობა 1839 წელს უკვე დასრულებული იყო. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ოფიციალური მიმოწერა საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ გიმნაზიის სამშენებლო ისტორიის სურათი. 1839 წლის 23 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ შენობა აშენებულია და სახალხო განათლების სამინისტრო სთხოვს საქართველოს საგუბერნიო სამშენებლო კომისიას, გამოყოს მოხელე, რომელიც დირექციის მიერ წარდგენილ არქიტექტორთან ერთად შეამოწმებს თბილისის გიმნაზიაში ჩატარებულ სამუშაოებს (სცსა ფ.205. ა.1. ს.81).

ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობა არაერთხელ გადააკეთეს. ნაგებობის პარადული ფრთის რეკონსტრუქციას 1860–1861 წლებში არქიტექტორი ენფიანჯევი ხელმძღვანელობდა (სცსა ფ.8. ა.1. ს.280). შენობას საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1870–1873 წლებშიც არქიტექტორ ოტო სიმონსონის მიერ და სწორედ მის ხელში მიიღო ის კლასიცისტურ-ნეობაროკული სახე, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია (მანია, 2018:62). ოტო სიმონსონს ეკუთვნის ლაზარეთის ფლიგელიც, რომელიც სტილისტურად გიმნაზიის შენობას ეხმიანება (სცსა ფ.203. ა.1. ს.167; ფ.203. ა.1. ს.314; მანია, 2018:62).

1872 წელს გიმნაზიის ეზოში ბაღის გასაშენებლად მეფისნაცვლის მებაღე ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი მოიწვიეს (სცსა ფ.422. ა.1. ს.478). 1880–იან წლებში შენობის კაპიტალურ რემონტს ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი (სცსა ფ.203. ა.1. ს.908).

სპეციალურ კომისიაში, რომელიც შენობის სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობდა, სხვადასხვა პერიოდში შედიოდნენ: არქიტექტორი ლოდოვიკო კამბიაჯო, (სცსა ფ.205. ა.1. ს.305), ალბერტ ზალცმანი (სცსა ფ.204. ა.1. ს.719), ლეოპოლდ ბილფელდი, ინჟინერ-არქიტექტორი ა. ჩიჟოვი, პ. პრჟიბიშევსკი (სცსა ფ.203. ა.1. ს.670; 796), ინჟინერი კ. ბუტკოვიჩი, ტრონოვი (სცსა ფ.204. ა.1. ს.2189), სამხედრო ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი სტანისლავ ვეის-ფონ-ვეისენგორფი (სცსა ფ.203. ა.1. ს.167) და სხვები. შენობის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ ხაჯიმინოსოვი (სცსა ფ.203. ა. 1. ს. 166) და ფრანგი სტეპან მურო (სცსა ფ.205. ა.1. ს.305).



კლასიკური გიმნაზიის ფასადები გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) გამზირსა და ღუნიბის მოედნის (დღევანდელი მთავრობის სახლის ტერიტორია) მხარეს

არქიტექტორი ა. ჩიჟოვი

თბილისი, 1868 წლის დეკემბერი

სამშენებლო-საგზაო კომიტეტის ტექნიკოსებმა პროექტი განიხილეს და დაამტკიცეს 1869 წლის 5 ნოემბერს.

(სცსა ფ.203. ა.1 ს.77)



კლასიკური გიმნაზიის გენერალური გეგმა
თბილისი, 1868 წლის დეკემბერი
არქიტექტორი ა. ჩიჟოვი
სამშენებლო-საგზაო კომიტეტის ტექნიკოსებმა პროექტი განიხილეს და დაამტკიცეს 1869 წლის 5 ნოემბერს.
(სცსა ფ.203. ა.1 ს.77)



თბილისის კლასიკური გიმნაზიის გადაკეთების პროექტი
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
თბილისი, 1870 წლის 9 მარტი
(სცსა ფ.203. ა.1. ს118)



თბილისის კლასიკური გიმნაზიის გადაკეთების პროექტი, ზედა სართულის გეგმა
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
თბილისი, 1870 წლის 9 მარტი
(სცსა ფ.203. ა.1. ს118)



თბილისის კლასიკური გიმნაზიის გადაკეთების პროექტი, ქვედა სართულის გეგმა
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
თბილისი, 1870 წლის 9 მარტი
(სცსა ფ.203. ა.1. ს118)



კლასიკური გიმნაზიის შენობის ლაზარეთის ფლიგელი
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
თბილისი, 1870 წლის 2 აპრილი
სამშენებლო-საგზაო კომიტეტის ტექნიკოსებმა პროექტი განიხილეს და
დაამტკიცეს 1873 წლის 24 მარტს.
(სცსა ფ.203. ა.1. ს.314)



თბილისის კლასიკური გიმნაზიის გენერალური გეგმა
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
თბილისი, 1871 წელი
(სცსა ფ.441. ა.1. ს.273)

↑ ზედა: **თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია**
არქიტექტორი ოტო სიმონსონი
ფოტოები დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]

↓ ქვედა: **თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ინტერიერი**
(ალბომი „კავკასიის საიუბილეო გამოფენა, თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია“)

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი

თბილისში ქალთა პირველი სასწავლებელი კეთილშობილ ქალთა პანსიონი იყო, რომელიც მთავარმართებელ პასკევიჩის ინიციატივით 1830 წლის 11 ივლისს გაიხსნა (Акты, т. VII, 1878:69; ხუნდაძე, 1937:100–101). 1840–იან წლებში სწორედ ამ პანსიონის ბაზაზე დაარსდა თბილისის ქალთა პირველი სახაზინო სასწავლებელი – ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. 1840 წლის 23 მარტს დაფუძნდა მისი წესდების პროექტი (Акты, т. IX, 1884), რომელიც 1841 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო (სცსა ფ.424. ა.1. ს.41).

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა მცირე დროით ბინა ქალთა პანსიონის შენობაში, გენერალ-მაიორ ორბელიანის ქვრივის სახლში დაიდო. შემდეგ გადავიდა სოლოლაკში, ბაღის (დღევანდელი ლადო ასათიანის) ქუჩაზე, მოქალაქე შადინოვის ახლად დასრულებულ სახლში (Кавказский Календарь, 1845:239), რომელიც ინსტიტუტის საბჭომ მოიწონა (სცსა ფ.2. ა.2. ს.1405). 1857 წლიდან კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა ლაბორატორიისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში, ისაკ თუმანიშვილის მიერ აგებულ სახლში გადაინაცვლა (Кавказский Календарь, 1857:506; Кавказский Календарь 1879:161)[1]. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბოლოო შენობა (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო), რომელიც დღემდე შემორჩა, 1888–1890 წლებში ალექს ერმოლოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩაზე არქიტექტორ რობერტ გედიკეს მიერ აშენდა.

---

1 „საველე აუდიტორიის თავმჯდომარემ ისაკ თუმანიშვილმა, ერეკლე II ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის, სულხან თუმანიშვილის შვილიშვილმა, ააგო უშველებელი შენობა, რომელიც დღესაც არსებობს. ამ სახლში გადმოვიდა ინსტიტუტი 1857 წელს სოლოლაკიდან, ბაღის ქუჩიდან, სადაც შადინოვის სახლში იყო მოთავსებული“ (ხელთუბნელი, 1941:8, 109); ტარიელ ხუნდაძე შადინოვის სახლის, იგივე ქალთა ინსტიტუტის მისამართად „მახარაძის და ენგელსის ქუჩების კუთხეს“ უთითებს (ხუნდაძე, 1937:101; ხელთუბნელი, 1941:110). საინტერესოა დღევანდელი გერონტი ქიქოძის ქუჩის ისტორია. აქ XVIII საუკუნეში დარეჯან დედოფლის ბაღები იყო, მოგვიანებით, 1857 წლამდე, ამ ქუჩას ინსტიტუტის სახელი ერქვა, რადგან იქ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი მდებარეობდა, მისი გადასვლის შემდეგ – ძველი ინსტიტუტის, 1900 წლებიდან – პასკევიჩის, მერე მახარაძის (აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე და სხვა. 2008:180) სახელი ეწოდა. აღნიშნული ინსტიტუტი ან ამ ქუჩაზეც მდებარეობდა, ან შადინოვის სახლი ასათიანისა და ქიქოძის კუთხეში იდგა (ეს ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი იქნება); ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ ბაღის ქუჩაზე მდებარე შადინოვის სახლში სხვადასხვა სასწავლებელი განთავსდა, მაგალითად 1879 წლის „კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვით იქ კერძო რეალური სასწავლებელი მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1879:160).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისთვის სპეციალური შენობის მშენებლობაზე ზრუნვა სასწავლებლის საბჭომ მისი დაარსების დღიდანვე დაიწყო. თავდაპირველად, უკვე არსებული გეგმის მიხედვით შენობის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, სამშენებლო მასალის მოძიება და შეძენა დაევალა ინჟინერ-პოლკოვნიკ ევსტრატოვს (სცსა ფ.205. ა.1. ს.140). მაგრამ ამ უკანასკნელმა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას თავი ვერ გაართვა და მთავარმართებელ გოლოვინთან შეთანხმებით, 1842 წელს ინსტიტუტის მოწყობის საქმე ქალთა ინსტიტუტის საბჭომ ჩაიბარა.

1846 წლის 14 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ქალაქის არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის (1817–1851) დაავალა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. პოლკოვნიკმა სონინმა განიხილა სკუდიერის მიერ წარდგენილი პროექტი და 1847 წლის 8 იანვარს საქართველო-იმერეთის საგუბერნიო სამშენებლო კომისიას გადასცა (სცსა ფ.205. ა.1. ს.370). 1851 წლის 2 მარტს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭომ ჯოვანი სკუდიერის ხელახლა დაუკვეთა ინსტიტუტის შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. თუმცა საქმის დასრულება სკუდიერის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ვერ მოესწრო (სცსა ფ.205. ა.1. ს.830).

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ალექს ერმოლოვის ქუჩაზე (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო შიო ჩიტაძის ქუჩაზე). 1888–1890 წწ.
არქიტექტორი რობერტ გედიკე
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]

დეტალი თბილისის გეგმიდან
1859 წელი. წითლად მოხაზულია შენობა ლაბორატორიისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში.
(r-160. ეროვნული არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკა)

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ალექს ერმოლოვის ქუჩაზე (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო შიო ჩიტაძის ქუჩაზე)
1888–1890 წწ.
არქიტექტორი რობერტ გედიკე

1853 წლის 23 ივნისის დოკუმენტის მიხედვით დაიგეგმა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის მთავარი კორპუსის მშენებლობა. ოთხსართულიანი შენობის პროექტი, რომლის მშენებლობაც 4 წელიწადში უნდა დასრულებულიყო, შექმნა თბილისის საგუბერნიო არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ (1805 წ. – გარდაცვალების წელი უცნობია) (სცსა ფ.205. ა.1. ს.1068), რასაც, თავის მხრივ, ადასტურებს ვახტანგ ბერიძე (ბერიძე, 1863:165).

საბოლოოდ, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა არქიტექტურის პროფესორის, რობერტ ანდრიას ძე გედიკეს (1829-1909 წწ.) მიერ 1888–1890 წლებში ერმოლოვის ქუჩაზე აგებულ შენობაში (დღევანდელი შიო ჩიტაძის ქუჩა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო) დაიდო ბინა (Зодчий, 1894:2-3)[1]. ეს შენობა ე.წ. „ქართული სტილის“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც „1880-იანი წლებიდან განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ის გასცდა საეკლესიო არქიტექტურის ფარგლებს და საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებშიც შეაღწია“ (ხოშტარია, 2016:38).

1 1888 წელს შენობის საძირკვლის გაჭრას ესწრებოდა იმპერატორი ალექსანდრე მეუღლესთან, მარია თეოდორეს ასულსა და უფლისწულ ნიკოლოზთან ერთად. წყლის კურთხევის რიტუალს ასრულებდა საქართველოს ეგზარქოსი პალადი. ცერემონიას ესწრებოდნენ: გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე და ბესარიონ ალავერდელი სხვა არქიმანდრიტებთან და სასულიერო პირებთან ერთად (Кавказский Календарь, 1910:29–30).

წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი

წმინდა ნინოს სასწავლებლის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან ვიღებთ. ესენია: ეროვნულ არქივში დაცული წმინდა ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებისა თუ სასწავლებლის შესახებ არსებული საქმეები, თბილისის გზამკვლევები და „კავკაზსკი კალენდარი", რომელიც ვრცლად გვიყვება საქველმოქმედო ორგანიზაციის მიზნებსა და სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ 1846 წლიდან 1884 წლამდე. სწორედ ამ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული აღნიშნული სასწავლებელი.

1846 წელს თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის მეუღლემ ელისაბედ ბრანიცკაიამ წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება დააარსა, რომლის მიზანი ადგილობრივი თავად-აზნაურებისა და სახელმწიფო მოხელეების ღარიბი და ობოლი ქალიშვილების აღზრდა და მათთვის განათლების მიცემა იყო. საზოგადოების ინიციატივით, 1846 წლის 5 მაისს, თბილისში, ერმოლოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩაზე წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი გაიხსნა. რამდენიმე წელიწადში წმინდა ნინოს სასწავლებლები საქართველოს სხვა ქალაქებშიც – ქუთაისსა (1847 წ.) და თელავში (1865 წ.) – დაფუძნდა (სცსა ფ.219. ა.1. ს.27).

თავად სასწავლებლის არქიტექტურაზე წარმოდგენას „კავკაზსკი კალენდარი" გვიქმნის, სადაც აღწერილია შენობის 1882 წლის მდგომარეობა. მაშინ საზოგადოების თავმჯდომარედ თავადის ქალი ნ.ა. დონდუკოვ-კორსაკოვა აირჩიეს. ამ დროს საზოგადოება მოკლებული იყო ყოველგვარ ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო თავად ნაგებობა თითქმის უკვე ინგრეოდა. დღის წესრიგში დადგა მისი რეკონსტრუქციის საკითხი. დონდუკოვ-კორსაკოვამ საფუძვლიანი რემონტი დაიწყო და 1883 წლისთვის იგი მთლიანად შეიცვალა. ახალი შენობა 2 ოქტომბერს აკურთხეს (Тер-Егиазаров, 1906:22). დონდუკოვ-კორსაკოვას ინიციატივით, 1883 წელს თბილისის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი ქალთა მეშვიდე გიმნაზიად გადაკეთდა. 1884 წელს ძველი ტაძრის ადგილას ახალი დიდი ეკლესია აღიმართა. 1885–86 წლებში სასწავლებელთან აშენდა პანსიონიც (Кавказский Календарь, 1908:52).

წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის შენობის საერთო ხედი
თბილისი, 1890-1905 წწ.

მუსლიმური სასწავლებელი თბილისში

1847–48 წლებიდან თბილისში მუსლიმური სასწავლებლები იხსნება. ჩვენთვის ცნობილია ამ პერიოდში არსებული ომაროვის სასწავლებელი ბოტანიკურის ქუჩაზე (სცსა ფ. 424. ა.1. ს.179). თუ რომელ წლამდე არსებობდა ის და რა ბედი ეწია, დოკუმენტებში ამ ინფორმაციის პოვნა ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

მაგრამ საქართველოს ეროვნული არქივის სხვა დოკუმენტური მასალიდან ჩანს, რომ 1914 წელს თბილისის მუსლიმური საქველმოქმედო საზოგადოება ითხოვს დედაქალაქში სასწავლებლის გახსნას მირზოევის შესახვევსა და სურბსარქისის ქუჩის კუთხეში (დღვანდელი ნიკო ქუმსიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის ქუჩების კუთხე). აქვე წარმოდგენილია სკოლის ორსართულიანი ქვის შენობის პროექტი, რომელიც ტექნიკური განყოფილების მიერ დამტკიცებულია 1914 წლის 19 ივნისს (სცსა ფ.192. ა.8ა. ს.9737)



სომხურ-გრიგორიანული სკოლა



სომხურ-გრიგორიანულ წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებული ორსართულიანი
სამრევლო სასწავლებლის პროექტი თათრის მოედანთან
თბილისი, 1849 წელი.
(სცსა ფ.205. ა.1. ს.637)

თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია

ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია 1865 წელს დაარსდა, ხოლო მასთან არსებული პროგიმნაზია – 1873 წელს (სცსა ფ.422. ა.1. ს.218). გიმნაზიის დაარსების თარიღად აღინიშნებოდა 16 აპრილი (სცსა ფ.422. ა.1. ს.708) – დღე, როდესაც ოლღა თეოდორეს ასული კავკასიაში ჩამოვიდა. „თავდა-პირველად, ქალთა სასწავლებელი მოთავსებული იყო კერძო სახლებში, ქალაქის მტკვრის მარცხენა ნაწილში. 1872 წელს გადაწყდა ქალთა გიმნაზიის გადაყვანა კუ-კიიდან, რომელიც მაშინ წარმოადგენდა „отдаленную часть г. Тифлиса“, ქალაქის მთა-ვარ, ცენტრალურ ნაწილში“ (გერსამია, 2015, სამუზეუმო კვარტალი თბილისში, ARS GEORGICA, https://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/184.html?ed=16).

გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) გამზირი კავკასიის მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარიის ტიპოგრაფია და ქალთა პირველი გიმნაზია
არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1910]



ნიკოლოზის ბულვარის გენერალური გეგმა
პოდპოლკოვნიკ გაგარინისა და სათავადაზნაურო საკრებულოს კუთვნილება
(დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადგილი, შოთა რუსთაველის გამზირის, ლადო გუდიაშვილის, ანტონ ფურცელაძის ქუჩებსა და ლადო გუდიაშვილის შესახვევს შორის არსებული ტერიტორია)
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.10547)

დიდი მთავრის, ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის ქალთა გიმნაზიის სამსართულიანი, სამკაულის ზომიერებით გამორჩეული, რენესანსულ სტილში გადაწყვეტილი შენობა კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის უკან, ატამანის (დღევანდელი ლადო გუდიაშვილის) ქუჩის მხარეს ალბერტ ზალცმანის პროექტით აშენდა. 1873 წლის 25 ივლისს თბილისის სამშენებლო-საგზაო კომიტეტმა გიმნაზიის პროექტი დაამტკიცა. 1874 წლის ოქტომბერში დასრულდა მშენებლობა და 20 ოქტომბრისთვის უნდა გახსნილიყო. სამსართულიანი ნაგებობის მთავარი ფასადის, ატამანის ქუჩის მხარეს, პირველ სართულზე განზრახული იყო მაღაზიების განთავსება (სცსა ფ.203. ა.1. ს.303). საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1904 წლის დოკუმენტის თანახმად, შენობის ნაწილი კავკასიის მუზეუმს დაეთმო, 1912 წელს ლორის-მელიქოვის ქუჩის მხრიდან გიმნაზიას ახალი ფლიგელი მიაშენეს (სცსა ფ.453. ა.1. ს.172).

გიმნაზია თავის დროზე შეადგენდა იმ კულტურულ-საზოგადოებრივი შენობების კომპლექსის ნაწილს, რომელიც ალბერტ ზალცმანმა დააპროექტა და განახორციელა. ეს ნაგებობები თითქმის მთელ კვარტალს იკავებდა გოლოვინის პროსპექტის, ბარონის, ატამანის ქუჩებისა და ნიკოლოზის შესახვევში (დღევანდელი შოთა რუსთაველის გამზირის, ანტონ ფურცელაძის, ლადო გუდიაშვილის ქუჩები და გუდიაშვილის შესახვევი). ამ „არქიტექტურულ კომპლექსში" ერთიანდებოდა საჯარო ბიბლიოთეკის, კავკასიის მუზეუმის, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ტიპოგრაფიის, მუსიკალური თუ სამხატვრო სკოლის შენობები, მუზეუმსა და ბიბლიოთეკას შორის თაღოვანი გალერეა და სამეცნიერო შეკრებების დარბაზი (სეა სცა ფ.203, ან.1, ს.66; სეა სცა ფ.203, ან.1, ს.373). სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილი ნაგებობებიდან დღეს მხოლოდ ქალთა გიმნაზიაა შემონახული, რომელიც სიმონ ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის კომპლექსის ნაწილია.

ქალთა პირველი გიმნაზია ატამანის (დღევანდელი ლადო გუდიაშვილის) ქუჩაზე
არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1910]

ქალთა პირველი გიმნაზიის შენობა

რეალური სასწავლებელი

რეალური სასწავლებლების გახსნა რუსეთის იმპერიის ქალაქებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და მათი მიზანი აღსაზრდელებისთვის საშუალო განათლების მიცემა იყო. ძირითადი ყურადღება საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ საგნებსა და თანამედროვე ენებს ეთმობოდა. 1888 წლის საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ რეალური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უკვე შეეძლოთ სწავლის გაგრძელება უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკისა და სამედიცინო ფაკულტეტებზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.8; 320).

თბილისში პირველი რეალური სასწავლებელი 1865 წელს გაიხსნა და განთავსებული იყო ორ შენობაში: 1. მიხეილისა და რეუტის (დღევანდელი დავით აღმაშენებლისა და გიორგი მაზნიაშვილის) ქუჩების გადაკვეთაზე და 2. გერმანელების (დღევანდელი კიევის) ქუჩაზე (Тер-Егиазаров, 1906:66).

1866 წლის 22 იანვარს ამიერკავკასიის სასწავლებლების მთავარ ინსპექტორსა და ყარალოვების (ყარალაშვილების) ოჯახს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რეალური სასწავლებლისთვის მათი სახლის ქირაობის შესახებ. მიხეილისა და რეუტის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირისა და გიორგი მაზნიაშვილის ქუჩის კუთხე) მშენებარე ორსართულიანი ქვის ნაგებობა თავისი სარდაფებით, ეზოთი და ბაღით 1876 წლის 1 ივლისამდე იჯარით გადაეცემოდა თბილისის რეალურ გიმნაზიას, რომელიც ვალდებული იყო, შენობა 10 წლის ვადით დაეზღვია ხანძრისგან (სცსა. ფ463. ა1. ს.15). როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რეალური სასწავლებელი XX საუკუნის დასაწყისშიც აღნიშნულ მისამართზე მდებარეობდა. ამას ადასტურებს 1907 წლის 24 ივლისს ალექსანდრ და ზაქარია ყარალოვებსა (ყარალაშვილებს) და რეალური სასწავლებლის დირექტორს, თეოდორე აღაპევს შორის დადებული ხელშეკრულება 1908 წლის 1 იანვრიდან იჯარის 5 წლით გაგრძელების შესახებ (სცსა ფ.463. ა.1. ს.25)[1].

1 1906 წლის 15 მაისის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილეს თბილისის რეალური სასწავლებლისთვის მიწის ნაკვეთის შესყიდვის საკითხი. საბჭომ არჩევანი შეაჩერა ემინოვის ნაკვეთზე, რომელიც დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩის) და პასტერის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა (სცსა ფ.463. ა.1. ს23).

სასწავლებლის ორსართულიან შენობას, რომელიც „სიძველით და მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია“ (მანია, 2018:230) მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) გამზირზე, 1912 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ არქიტექტორმა ჰერმან ბარტმა მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები შემატა.



ალექსანდრ და სოფია ყარალოვების (ყარალაშვილების) სახლის, ყოფილი რეალური სასწავლებლის შენობის რეკონსტრუქციის პროექტი მიხეილისა და რეუტის ქუჩების კუთხეში (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირისა და გიორგი მაზნიაშვილის ქუჩის კუთხე)

რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტორი ჰერმან ბარტი

არქიტექტორთა საბჭომ პროექტი განიხილა და დაამტკიცა 1912 წლის 8 მაისს.

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.9143)

თბილისის რეალური სასწავლებლის შენობა

იუნკერთა სასწავლებელი/სამხედრო სკოლა

იუნკრების სასწავლებელი თბილისში 1866 წლის იანვარში გაიხსნა, როგორც იუნკერთა დროებითი სკოლა. ამავე წლის 2 ივნისს კი ამ ფაქტს მოჰყვა უმაღლესი განკარგულება 1 სექტემბრიდან თბილისში იუნკერთა სასწავლებლის გახსნის შესახებ (Кавказский Календарь, 1908:49; Тер-Егиазаров, 1906:21).

1919 წელს, გენერალ გიორგი კვინიტაძის ინიციატივით, იუნკერთა სასწავლებელი სამხედრო სკოლად გადაკეთდა, რომლის კურსდამთავრებულიც ქართული არმიის ძირითადი საყრდენი უნდა გამხდარიყო (სილაქაძე, 2018:355).

კლასიცისტურ-რენესანსული სტილის, არქიტექტურული დეკორის თავშეკავებულობით გამორჩეული, სადა, ბრტყელი პილასტრებით შემკული ქვის სამსართულიანი სასწავლებლის შენობა მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) გამზირზე მდებარეობდა და დღემდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე.

თბილისის იუნკერთა სასწავლებელი მიხეილის გამზირზე
1880–1890 წწ.



ეკლესიის პროექტი იუნკერთა სასწავლებელში
თბილისი, 1895 წლის 15 ივნისი
(სცსა ფ.1256. ა.1. ს.7)

საფერშლო სკოლა

თბილისში პირველი საფერშლო სკოლა 1872 წელს დაარსდა „საზოგადოებრივი მზრუნველობის უწყების“ ბრძანების საფუძველზე. სასწავლებელი დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე მდებარეობდა, ალბერტ ზალცმანის მიერ აგებული მიხეილის საავადმყოფოს უკან.

სასწავლებელს უნდა აღეზარდა კვალიფიციური ფერშლები როგორც თბილისის სამკურნალო დაწესებულებებისთვის, ისე მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობისთვის (სცსა ფ.439. ა.1. ს.1). „შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება საშუალო სამედიცინო განათლების ისტორია საქართველოში“ (საყვარელიძე, 1959:8).

1898 და 1902 წლების თბილისის გეგმებზე მონიშნული საფერშლო სკოლა შედარებით დიდი შენობაა, ხოლო 1903–1904 წლების გეგმაზე მისი მდებარეობა თითქოს ემთხვევა დღევანდელი დიმიტრი უზნაძის ქ. N51-ში მდგარ მედიცინის ისტორიის მუზეუმის შენობას და თუ სიმონ საყვარელიძის წიგნს „ნარკვევები საშუალო სამედიცინო განათლების ისტორიიდან“ დავეყრდნობით, საფერშლო სკოლა სავარაუდოდ ამ შენობაში უნდა ყოფილიყო განთავსებული.

საფერშლო სკოლა დიდი მთავრის ქუჩაზე
(დღევანდელი მედიცინის ისტორიის მუზეუმის შენობა,
დიმიტრი უზნაძის N51)

მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებელი

1872 წლის 23 ნოემბერს სამასწავლებლო კომისიის სხდომაზე გადაწყდა თბილისში მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის გახსნა და მისთვის შენობის აგება მიხეილ და ალექსანდრ სუმბათოვებისა და ჩიმიშკიანის ქვრივის მიწის ნაკვეთზე. ფუნდამენტი 1874 წლის 26 ივლისს გაიჭრა და სულ მალე თბილისში, ეგზარქოსის მოედანზე, მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებელი გაიხსნა (სცსა ფ.192. ა.3. ს.35; Тифлисский Листок, 1874, #18).

სასწავლებელში ქართულ, სომხურ და რუსულ ენებთან ერთად, ძირითადად, ისწავლებოდა საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებები და საგნები: არითმეტიკა, ბუღალტერია, გეომეტრია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა, ტექნიკური ფიზიკა, ხის ტექნოლოგია, გეოგრაფია, ხაზვა, სიმღერა, კალიგრაფია, ხატვა. ამასთანავე, ეს სასწავლებელი მოწაფეებს აძლევდა პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს. კურსდამთავრებულები სახელოსნო სასწავლებელში დაეუფლებოდნენ სხვადასხვა ხელსაქმეს და შეძლებდნენ საკუთარი სახელოსნოების გახსნას.

იმის გამო, რომ სასწავლებელზე დიდი მოთხოვნა იყო, სწავლის ხარისხი მკაცრად კონტროლდებოდა, კურსზე დარჩენილ მოწაფეებს სტიპენდია ეხსნებოდათ, ხოლო ის მოწაფეები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში შედეგს ვერ წარმოადგენდნენ, სასწავლებლიდან ირიცხებოდნენ.

სასწავლო წლის დასრულების შემდეგ იმართებოდა აღსაზრდელების მიერ შესრულებული ნამუშევრების ორდღიანი გამოფენა, რომელზეც ნახატები, ნახაზები და სხვადასხვა ნაკეთობა იყო წარმოდგენილი (სცსა ფ.192. ა.7. ს.166).





მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის პროექტი
და გენერალური გეგმა
თბილისი, 1873 წელი
(სცსა ფ. 192. ა.3. ს.35)

თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

დიდი მთავრის, მიხეილის სახელობის თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია 1874 წელს დაარსდა როგორც პროგიმნაზია, ხოლო გიმნაზიად 1881 წელს გადაკეთდა (Тер-Егиазаров. 1906:64). პირველ წლებში სასწავლებელი კუკიაზე, იჯარით აღებულ, მცირე ზომის ძველ შენობაში განთავსდა, მაგრამ ნაგებობის მძიმე მდგომარეობის გამო აღსაზრდელებს საფრთხე ექმნებოდათ. ამასთან, ადგილის სიმცირე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გიმნაზიაში უფრო მეტ მსურველს ესწავლა, ამიტომ დღის წესრიგში დადგა დიდი და კეთილმოწყობილი შენობის აგების საკითხი.

გიმნაზიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი მის პირველ დირექტორს, ი. დრბოგლავს უჭირავს, რომლის თაოსნობითაც მოხერხდა გიმნაზიის ახალი შენობის მშენებლობისთვის ფინანსების მოძიებაცა და ახალი შენობის აგებაც. მშენებლობისთვის საჭირო ფინანსების მოსაზიდად დირექტორმა დრბოგლავმა შეკრიბა როგორც მოსწავლეთა შეძლებული მშობლები, ისე ადგილობრივი მეცენატები, რომელთა შორისაც გამოირჩეოდნენ ა. ს. ცურინოვი და მ. ო. არამიანცი.

უპირველეს ყოვლისა, დაიწყეს გიმნაზიისთვის შესაფერისი მიწის ნაკვეთის ძებნა და მისი შესყიდვის საქმე. კავკასიის სასწავლო ოლქისგან მშენებლობისთვის 140 620 მანეთი გამოიყო.

შენობას საძირკველი დიდი მთავრის ქუჩაზე (დღევანდელი განათლების სამინისტროს შენობა დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე) 1893 წლის 5 ოქტომბერს ჩაეყარა. სასწავლებელი გახსნის დღეს, 1899 წლის 24 მაისს, საქართველოს ეგზარქოსმა აკურთხა (Тер-Егиазаров, 1906:24–25).

როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, გიმნაზიის ახალი შენობა თბილისში ტექნიკური თვალსაზრისით სრულყოფილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობას წარმოადგენდა.

წითელი აგურით ნაგები, შეულესავი, მასიური შენობა რუსული სტილის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია (ბერიძე, 1963:74). სხვადასხვა ფორმის არქიტექტურული დეტალებისა და შეისრული მოყვანილობის თაღედისგან დანაწევრებული კედლის სიბრტყე, დაგვირგვინებული ვეებერთელა გუმბათით, გადატვირთულობის შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

გიმნაზიის ახალ შენობაში დიდი ყურადღება ექცეოდა განათებას, ვენტილაციასა და გათბობას, რაც ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა მშენებლობის დროს (სცსა ფ.192. ა.6. ს.1389).

შენობის შუაში, ტრადიციულად, ორ სართულზე ეკლესია მდებარეობდა. შენობაში იყო 18 საკლასო ოთახი, სამხატვრო დარბაზი, ფიზიკის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. ცალკე შენობაში მდებარეობდა საავადმყოფო, სამზარეულო, საცხობი, ნაგებობა მომსახურე პერსონალისთვის და დირექტორის სახლი (გაზეთი „ნივა“, 1900 წელი, #39).

ვაჟთა მეორე გიმნაზიის (დღევანდელი განათლების სამინისტროს) შენობა დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე

ვაჟთა მეორე გიმნაზიის (დღევანდელი განათლების სამინისტროს) შენობა დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე, ფოტო გაზეთიდან „ნივა“, 1900 წელი, #39.

წმინდა გაიანეს სახელობის ქალთა სკოლა



Молоканинов ეკლესიის მიწაზე არსებული წმ. გაიანეს სახელობის სომხური სამრევლო ქალთა სკოლის ქვის ორსართულიანი შენობის პროექტი, მოღნინის პირველ და მეორე შესახვევებში (დღევანდელი ბეგლარ ახოსპირელის ჩიხი)

პროექტი შედგენილია 1874 წლის ივნისში.

დამტკიცებულია ქალაქის მმართველობის მიერ 1878 წლის 23 ივნისს.

გენერალურ გეგმაზე მოღნინის ეკლესიასთან, ასევე, მონიშნულია ვაჟთა სკოლაც.

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.133)

ქალთა სამეანო ინსტიტუტი

თბილისის ქალთა სამეანო ინსტიტუტი 1873 წელს დაარსდა (სცსა ფ. 438; სცსა ფ.192. ა.8. ს.697). ამ დროისთვის რუსეთის იმპერიის ქალაქებში სამეანო სასწავლებლის საჭიროება შეიქმნა, რადგან იმპერიის დედაქალაქში არსებული ამ დარგის ინსტიტუტები ვეღარ აკმაყოფილებდნენ უამრავი პროვინციიდან ჩასული პაციენტების მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა იმპერიის სხვადასხვა ნაწილში სამეანო სკოლების გახსნის აუცილებლობა. ეს სასწავლებლები ადგილობრივ ჰოსპიტლებთან იარსებებდა. მსგავსი პრობლემის წინაშე კავკასიის მხარეც აღმოჩნდა.

1875 წლის 23 აპრილს დამტკიცდა „ამიერკავკასიის სამეანო ინსტიტუტისა და მასთან არსებული სამშობიარო ჰოსპიტლის წესდება“ და შტატი (Кавказский Календарь, 1875:93; 1879:194–197). ინსტიტუტს დიდი თავადის ქალი, ოლღა თეოდორეს ასული მფარველობდა, ამიტომ მალევე მის პატივსაცემად ამიერკავკასიის სამეანო ინსტიტუტს ოლღა თეოდორეს ასულის სახელი ეწოდა.

თბილისის ქალთა სამეანო ინსტიტუტი ↑→
(დღევანდელი კ. ჩაჩავას კლინიკა)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ოლღას სახელობის სამეანო ინსტიტუტის 1911 წლის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტიდან სამშენებლო სამუშაოების საინტერესო დეტალებს ვიგებთ: „ინსტიტუტის შენობის ასაგებად საჭირო იყო ტერიტორიის განთავისუფლება ძველი შენობისგან. მშენებლობისთვის გამოიყენეს ფრანგული თეთრი ცემენტი, ფასადს ამკობდა კარნიზი, სხვა არქიტექტურული სამკაულები და ნაძერწი ფიგურები. საპარადო შესასვლელი უნდა გაეკეთებინათ განსაკუთრებული ნახატით და შემდეგ დაეფარათ ლაქით“ (სცსა ფ.204. ა.1. ს.3974).

1910–1911 წლებში არქიტექტორ ალექსანდრ როგოისკის (?–1912 წ.) მიერ ოლღას ქუჩაზე აგებული შენობა მოდერნის სტილის ერთ-ერთი ადრეული მაგალითია (ბერიძე, 1963:82; სცსა ფ.204. ა.1. ს.3974; სცსა ფ.438. ა.1. ს.9). მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ნაგებობის მსუბუქი გეომეტრიული დეკორის შემკულობა ზომიერებით გამოირჩევა.

კადეტთა კორპუსი

კადეტთა კორპუსი 1875 წელს სამხედრო გიმნაზიის ბაზაზე დაარსდა (Кавказский Календарь, 1908:49) გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელი ზურაბ წერეთლის მუზეუმის შენობა რუსთაველის პროსპექტზე). სასწავლებელში აღსაზრდელები საშუალო სამოქალაქო და სამხედრო განათლებას იღებდნენ. კურსდამთავრებულებს უმცროსი ოფიცრის წოდება ენიჭებოდათ.

სასწავლებლის შენობა ეპოქისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) გამზირისთვის ზუსტად შერჩეული მასშტაბი, თბილისურ ფასადთა ტრადიციების სრული უგულებელყოფა, საზეიმო ხასიათის არქიტექტურულ დეკორს მოკლებული, მარტივი გარეგნული ფორმების შენობა, თავისი მკაცრი, „ყაზარმული" ფასადებით კარგად ესადაგება სამხედრო სასწავლებლის ხასიათს (ბერიძე, 1960:63).

168

კადეტთა კორპუსი, შენობის ხედი გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის) პროსპექტზე
თბილისი, 1890 წელი

თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია

თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია (დღევანდელი შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის N40) დაარსდა XIX საუკუნის 70–იანი წლების მიწურულში, როგორც დიდი თავადის, ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის პროგიმნაზია, 1891 წელს კი ეწოდა თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია (ცენტრალური საისტორიო არქივის მეგზური, 2018:121; Тер-Егиазаров, 1906:74). ორსართულიანმა (სარდაფით), კოხტა პროპორციების მქონე შენობამ თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე (თუ არ ჩავთვლით ბოლო წლებში დამატებულ მანსარდულ მესამე სართულს). სადა, რენესანსული სტილის ნიშნებით გამორჩეული ნაგებობის მთავარი ფასადი პირველი სართულის კარნიზით ორ ჰორიზონტალურ სარტყლად იყოფა, რომელსაც რიტმულად ანაწევრებს ბრტყელი პილატრებით გამოყოფილი სარკმლის ღიობები. სიმეტრიის ღერძიდან მარჯვნივ გაჭრილი მთავარი, მაღალი შესასვლელის კარებს მსუბუქი ასიმეტრიულობა შემოაქვს ფასადის საერთო მშვიდ გადაწყვეტაში და გარკვეულწილად „აცოცხლებს“ კიდეც მას.

ისევე, როგორც სხვა სასწავლებლებმა, ქალთა მეორე გიმნაზიამაც რამდენიმეჯერ შეიცვალა მისამართი. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1898[1] და 1902 წლების თბილისის გეგმების მიხედვით, ქალთა მეორე გიმნაზია მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) გამზირის N40 მდებარეობს, ხოლო 1913 წლის თბილისის გეგმაზე დიდი მთავრის ქუჩაზე, იქ, სადაც დღეს თბილისის 23–ე საჯარო სკოლის შენობა დგას. ძველ მისამართზე კი (მიხეილის ქ. N40) უკვე ქალთა მეხუთე გიმნაზია გვხვდება.

ქალთა მეორე გიმნაზიის შენობა

დეტალი თბილისის გეგმიდან, 1913 წელი.
წითლად მოხაზულია 23–ე საჯარო სკოლის შენობა.

1 გერცენშტეინს თავის 1899 წელს გამოცემულ ცნობარში გიმნაზიის შენობა მითითებული აქვს მიხეილის ქ. N72–ში (Герценштейн, 1899:185).

მიხეილის სახელობის სარკინიგზო სასწავლებელი

სიმკაცრითა და სისადავით გამორჩეულ წითელი შეულესავი აგურის შენობაზე რიზალიტითა და კედლის რუსტირებული წყობით არქიტექტორმა საგანგებოდ გამოყო სასწავლებლის შენობის ცენტრალური ნაწილი, სადაც სიმეტრიის ღერძი მკაფიოდაა ხაზგასმული მთავარი შესასვლელის, მის ზემოთ გაჭრილი სარკმლისა და კარნიზის კომპოზიციით.

გენერალური გეგმის მიხედვით, მოცემულ მიწის ნაკვეთზე უკვე დგას სასწავლებლის შენობა და მის წინ, მთავარი ქუჩის მხარეს, ახალი ნაგებობის მშენებლობა იგეგმება.

სასწავლებლის შენობის ფასადზე ყურადღებას იქცევს წარწერა „ტექნიკური სასწავლებელი“, მშენებლობის თარიღი „1878“, გერბი და აბრევიატურა რუსულ ენაზე: პ. ტ. და ჟ. დ.

მიხეილის სახელობის სარკინიგზო სასწავლებლის ქვის →
ორსართულიანი შენობის პროექტი, ვორონცოვის სანაპიროზე
(დღევანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩა)
პროექტი ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებულია 1878 წლის 28 აპრილს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.132)




Генеральный планъ.
Изложеніе къ генеральному плану.
А Предполагаемое училище
Б Существующее училище
В Тарная мастерская
Г Деревянные навѣсы
Д Сторожевая будка
Планъ нижняго этажа.
Планъ верхняго этажа.

სამრევლო სკოლის პროექტი



ჩუღურეთში, ღმრთისმშობლის ეკლესიის ეზოში არსებული ქვის ერთსართულიანი სამრევლო სკოლის შენობის პროექტი

არქიტექტორი გარიცენოვი

სასწავლებლის პროექტი ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებულია 1878 წლის 30 ივნისს.

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.134)

სათავადაზნაურო გიმნაზია

თბილისის ქართული გიმნაზია, იგივე სათავადაზნაურო გიმნაზია, „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ მიერ 1879 წელს დაარსდა და მდებარეობდა პეტრე დიდისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში (Тер-Егиазаров, 1906:65). ამ ფაქტს თბილისის 1898 წლის გეგმაც ადასტურებს.

სპეციალურად გიმნაზიისთვის განკუთვნილი ნაგებობის მშენებლობის იდეა ჯერ კიდევ 1879 წელს გაჩნდა (სცსა ფ.428. ა.1. ს.62), თუმცა მხოლოდ 1899 წლის 8 მაისს გადაწყდა ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე, ნიკო ცხვედაძის მიერ ნაყიდ მიწის ნაკვეთზე სასწავლებლის შენობის აგება. პროექტისა და სამშენებლო ხარჯთაღრიცხვის შედგენა „პირველ ქართველ ხუროთმოძღვარს“[1], სიმონ კლდიაშვილს (1865–1920) დაევალა (სცსა ფ.478. ა.1. ს.40). 1899 წლის თებერვალში არქიტექტორ კლდიაშვილს უკვე მზად ჰქონდა პროექტი, რომელიც 1900 წლის 4 სექტემბერს დამტკიცდა (სცსა ფ.204. ა.1. ს.1162), მშენებლობა 1900 წლის 14 ოქტომბერს დაიწყო და გიმნაზია ახალ შენობაში 1906 წელს გადავიდა (სცსა ფ.537. ა.1. ს.125). 1918 წელს ტფილისის ქართული გიმნაზიის შენობა სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა (სცსა ფ.1935. ა.1. ს.59).

ქალაქის ერთ-ერთი მთავარი გამზირის დასაწყისში მდგარ სიმეტრიულობითა და ზომიერი მორთულობით გამორჩეულ, მონუმენტურ რენესანსულ-ბაროკული სტილის ნაგებობას მთელი კვარტალი უჭირავს და განაშენიანების მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

1 ქართული გიმნაზიის შესახებ ვრცლად იხ. ვახტანგ ბერიძე, 1963, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლები, ტ. II, გვ.80

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შენობა
არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი
თბილისი, 1907 წელი

შენობა პეტრე დიდისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში, ინგოროყვას N22, სადაც 1879 წელს დაარსდა ვაჟთა სათავადაზნაურო გიმნაზია[1].

1 ამავე შენობაში 1906 წელს შავრაზმელებმა მოკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე, რომელიც გიმნაზიის მასწავლებლებთან – იუსტინე აბულაძესთან, კალისტრატე ცინცაძესა და სხვებთან ერთად შენობაში იმყოფებოდა და პედსაბჭოს სხდომას უძღვებოდა (დავით გორგაძე, მოგზაურობა ჯოჯოხეთში, 2019, მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები, გვ.195–196).

დეტალი თბილისის გეგმიდან,
1884 წელი. 1898 წლის შესწორებებით და დამატებებით
წითლად შემოხაზულია შენობა პეტრე დიდისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.1061)

კომერციული სასწავლებელი

რუსეთის იმპერიაში კომერციული სასწავლებელი საშუალო განათლების სისტემის ნაწილს შეადგენდა, რომელიც აღსაზრდელებს სპეციალურ განათლებას აძლევდა ვაჭრობისა და კომერციის დარგში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში კომერციული სასწავლებელი თბილისშიც გაიხსნა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტური თუ ფოტომასალა ინსტიტუტის შესახებ სხვადასხვა ცნობას გვაწვდის.

სასწავლებლის სამსართულიანი შენობა რენესანსული სტილისთვის დამახასიათებელი სისადავით გამოირჩევა. მის მთავარ მხატვრულ აქცენტს ცენტრალური სიმეტრიის ღერძი რიზალიტით, მკაფიოდ გამოყოფილი ფრონტონითა და დეკორატიულად გაფორმებული, ნახევარწრიული სარკმლები წარმოადგენს.

თბილისის კომერციული სკოლის ხედი
XIX საუკუნე

სასოფლო-სამეურნეო სკოლა







სასოფლო-სამეურნეო სკოლის პროექტი აკლიმატიზაციის (დღევანდელი მუშთაიდის) ბაღში
არქიტექტორი ალექსანდრ შიმკევიჩი
თბილისი, 1885 წლის 14 დეკემბერი
პროექტი დამტკიცებულია 1886 წლის 20 თებერვალს
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.1851)

საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა

არქიტექტორმა პაულ შტერნმა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის შენობა რუსული როპეტის სტილში გადაწყვიტა. შეულესავი აგურის ორსართულიანი შენობის ფასადზე თვალში გვხვდება აგურის წყობით გამოყვანილი სარკმელთა ხახვისებური თავსართები და დეკორატიული კარნიზი.









თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის შენობის პროექტი რეიტერის (დღევანდელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის) ქუჩაზე
არქიტექტორი პაულ შტერნი
თბილისი, 1887 წლის 9 ივნისი
პროექტი დამტკიცებულია 1887 წლის 20 ივნისს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.2014)

წმინდა მარინეს ეკლესიის სამრევლო სკოლა



ქვის ერთსართულიანი სკოლის პროექტი წმ. მარინეს ეკლესიის ეზოში
არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი
პროექტი დამტკიცებულია 1887 წლის 7 მაისს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.2171

თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია

1888 წელს მადამ სერპინეს ქალთა კერძო სასწავლებლის ბაზაზე დაარსებულ (ცენტრალური საისტორიო არქივის მეგზური, 2018:121) ქალთა მესამე გიმნაზიას, ისევე როგორც თბილისის სასწავლებლების უმეტესობას, თავიდან საკუთარი შენობა არ ჰქონდა და მასთან არსებულ პანსიონთან ერთად კერძო სახლში იყო განთავსებული. წყაროების მიხედვით, გიმნაზია თავდაპირველად სოლოლაკში, ბაღის და ძველი ინსტიტუტის (დღევანდელი ლადო ასათიანისა და გერონტი ქიქოძის) ქუჩების კუთხეში მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1892:11).

გიმნაზიის შენობის აშენებაზე ზრუნვა 1900 წლიდან იწყება, როდესაც გიმნაზიის საბჭო მშენებლობისთვის საჭირო თანხისთვის სესხის დამტკიცებას ითხოვს. დოკუმენტების მიხედვით, 1902 წლის 29 ივნისს სასწავლებლის საბჭომ 100 000 მანეთის ოდენობის სესხი მიიღო (სცსა ფ.455. ა.1. ს.400).

ქალთა მესამე გიმნაზიის შენობა (დღევანდელი მე–6 საავტორო სკოლა ლადო ასათიანის ქ. N28) ბებუთოვის ქუჩაზე აიგო. მან დღემდე თითქმის მთლიანად შემოინახა ავთენტური სახე. შეულესავი, წითელი აგურის, ნეოგოთიკურ სტილში გადაწყვეტილი ოთხსართულიანი ნაგებობა მნახველს დანახვისთანავე ნუსხავს. შალვა დადიანის ქუჩის ბოლოს, პერსპექტივაში მდგარი ეს მკაფიო ინდივიდუალურობით გამორჩეული შენობა, თამაზ გერსამიას მიხედვით, ალექსანდრ ოზეროვს ეკუთვნის. მას საძირკველი 1903 წლის 23 აპრილს ჩაეყარა, 1905 წლის 9 იანვარს გიმნაზია აკურთხეს და საზეიმოდ გახსნეს (Кавказский Календарь, 1913:172; გერსამია, არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი, ARS GEORGICA, https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-26-26/216-2019-01-03-08-44-30.html). თუმცა განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. ვახტანგ ბერიძე შენობის არქიტექტორად სამოქალაქო ინჟინერს, როტინოვს ასახელებს (ბერიძე, 1963:76).

ქალთა მესამე გიმნაზიის შენობა
ბებუთოვის ქუჩაზე
(დღევანდელი მე-6 საავტორო სკოლა ლადო
ასათიანის ქუჩაზე)



ორსართულიანი ქვის შენობის პროექტი ქალთა მესამე გიმნაზიის მიწის ნაკვეთზე, ბებუთოვის (დღევანდელი ლადო ასათიანის) ქუჩა N28
არქიტექტორი მიხეილ ოჰანჯანოვი
თბილისი, 1905 წლის 29 ოქტომბერი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8143)







ქალთა მესამე გიმნაზიის ადმინისტრაციული შენობის პროექტი
არქიტექტორ-ინჟინერი ა. გ. ოზეროვი
თბილისი, 1910 წლის იანვარი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8631)

სომხური სამრევლო სკოლა



ღმრთისმშობლის სომხური ეკლესიის სამრევლო სკოლის ორსართულიანი შენობის პროექტი ვორონცოვის სანაპიროსა და ეკლესიის შესახვევის კუთხეში (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩა)
არქიტექტორები სამოქალაქო ინჟინერი გრიკუროვი და გრიგორიანცი
თბილისი, 1890 წლის 23 მაისი
პროექტი დამტკიცებულია 1890 წლის 28 მაისს.
მშენებლობის ზედამხედველი ინჟინერი ნიკოლოზ გრიგორიანცი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.2606)

ასურული ეკლესიის სამრევლო სკოლა



წითელიგორის წმინდა თომას ასურული ეკლესიის სამრევლო სკოლის პროექტი
არქიტექტორი აუგუსტ პოვიტც ეპინგი
შენობის პროექტი დაამტკიცეს 1895 წლის 25 სექტემბერს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.4200)

სამრევლო სკოლა



თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის სამრევლო
სკოლის ერთსართულიანი შენობის პროექტი 60 მოწაფეზე
1899 წლის 10 სექტემბერი
პროექტი დამტკიცებულია 1900 წლის 21 ივნისს.
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.6264)

წმინდა ნინოს სამრევლო სკოლა



კუკიის წმინდა ნინოს მართლმადიდებლური ეკლესიის ერთსართულიანი სკოლის პროექტი
პროექტის ავტორი ინჟინერი ტრონოვი
პროექტი დამტკიცებულია 1900 წლის 15 სექტემბერს.
(სცსა ფ.204. ა.1. ს1162)

თბილისის საქალაქო სასწავლებელი



საქალაქო სასწავლებლის პროექტი ფანასევიჩისა და არსენალის ქუჩების კუთხეში[1]
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.10432)

1 უთარიღო.

სამხატვრო სკოლა და ქალთა უმაღლესი კურსები

თბილისის სამხატვრო სკოლის (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) შენობა გრიგორი ივანოვის პროექტის მიხედვით 1856 წელს აიგო კომენდანტის (დღევანდელი ალექსანდრ გრიბოედოვის) ქუჩაზე. კლასიცისტური ხასიათის შენობა, ამავდროულად, ისლამური და ბაროკული არქიტექტურის ნიშნებითაც გამოირჩევა. ეს სასახლე თავდაპირველად მდიდარ ვაჭარს, ვარდან არშაკუნს ეკუთვნოდა. სასახლის მდიდრულად მორთული, ირანელი ხელოსნების მიერ შემკული, ისლამურ სტილში გადაწყვეტილი ბროლისა და სარკეებიანი დარბაზები აღმოსავლეთში გავრცელებული ყვავილოვანი ორნამენტებით, ვაზებით, ცალკეული ფიგურებითა და სპარსულწარწერებიანი მედალიონებით იყო მოხატული.

არშაკუნის გარდაცვალების შემდეგ, 1869–1899 წლებში, მის სასახლეში თბილისის საარტისტო საზოგადოება – ე.წ. საარტისტო წრე „კრუჟოკი“ განთავსდა.

XX საუკუნის დასაწყისში შენობის მარცხენა ნაწილი, რომელიც იმ დროისთვის ქობულაშვილებს ეკუთვნოდათ, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით საფუძვლიანად გადაკეთდა და ფასადზე სარკმელთა თავსამკაულებსა და აივანთა მორთულობაში მოდერნის სტილის მცირე აქცენტები გაჩნდა. სწორედ ამ ნაწილში „ალექსანდრე მრევლიშვილისა და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ინიციატივით, 1901 წელს სამხატვრო სკოლა განთავსდა, ცოტა ხანში კი ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების (Кавказское общество поощрения изящных искусств) სასწავლებელი გაიხსნა... 1909 წლიდან აქ თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნა, რომელსაც არაერთი მცირე თუ დიდი აუდიტორია ეჭირა, მათ შორის, მეორე სართულის მცირე აუდიტორიებიც და ე.წ. სარკეებიანი ცენტრალური დარბაზიც. საგულისხმოა, რომ 1909 წელს ქალთა ჯგუფის კერძო ინიციატივით დაარსებული თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების საზეიმო გახსნას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგიც ესწრებოდა. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, თუ როდემდე ფუნქციონირებდა ეს სასწავლო დაწესებულება არსებულ შენობაში. შესაძლებელია, სამხატვრო აკადემიის დაარსებისას ის ჯერ კიდევ იქ იყო“ (თ. ღვინერია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობის შესახებ).

თბილისის სამხატვრო სკოლა
(დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია)
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]



ნინო ქობულაშვილის სახლი (დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია)
რეკონსტრუქციის პროექტი, არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი
თბილისი, 1902 წელი

თბილისის სამხატვრო სკოლის
(დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) ინტერიერი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]

თბილისის სამხატვრო სკოლის
(დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) ინტერიერი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]

თბილისის კონსერვატორია

1870–იან წლებში დაარსებული „რუსული საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების სასწავლებელი“ 1917 წლის 23 იანვარს კონსერვატორიად გარდაიქმნა (სცსა ფ.192. ა.4. ს.120).



რუსული საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების შენობის პროექტი (დღევანდელი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია) გრიბოედოვისა და კრუზენშტერნის (დღევანდელი ლაღიძის) ქუჩების კუთხეში

არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩი
თბილისი, 1901 წლის 22 მარტი
პროექტი 1901 წლის 21 ივნისს განიხილა ქალაქის არქიტექტორმა ტ. შახნაზაროვმა.
დამტკიცებულია 1901 წლის 22 ივნისს.
(სცსა ფ.192 ა.8ა. 6615)

კონსერვატორიის შენობა თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ გადაკეთდა. რენესანსულ-ბაროკულ სტილში გადაწყვეტილი ნაგებობა, თავდაპირველად, ორსართულიანი იყო. 1930-იან წლებში მისი გვერდითი ფასადის ნიშაში პიანისტ ანტონ რუბინშტეინის ქანდაკება მოათავსეს. ამ პიანისტმა 1891 წლის 24 აგვისტოს თბილისის საზაფხულო თეატრში საქველმოქმედო კონცერტი გამართა და მთელი შემოსული თანხა სასწავლებლის აგებას მოახმარა (სცსა ფ.192. ა.6. ს.175). 1940-იან წლებში ორსართულიან შენობას კიდევ ორი სართული დაადგეს, რამაც მისი პირვანდელი სახე სრულიად შეცვალა.

მარინა ანანოვას ქალთა სასწავლებელი



თბილისის წმინდა სტეფანეს სომხურ დედათა მონასტერთან არსებული მარინა ანანოვას ქალთა სასწავლებელზე მიშენების პროექტი ფეთხაინის აღმართსა და ბებუთოვის ქუჩის კუთხეში (დღევანდელი ბეთლემის აღმართისა და ლადო ასათიანის ქუჩის კუთხე)
თბილისი, 1901 წლის 8 ივნისი

მანთაშევის სავაჭრო სკოლა

ნავთობმეწარმის, ალექსანდრ მანთაშევის სკოლა 1902 წელს დაარსდა (სცსა ფ.13. ა.6. ს.700) და თავდაპირველად, ავლაბარში, პეტრე-პავლეს ქ. N22 მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1845:581).

1910 წლის 14 ივლისს სავაჭრო საზოგადოების უხუცესს, ა. მილოვსა და მშენებლობის ზედამხედველს, ა. ახვერდოვს შორის დაიდო ხელშეკრულება თბილისში ბებუთოვის ქ.N50, ალექსანდრ მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის (დღევანდელი 43–ე საჯარო სკოლა ლადო ასათიანის ქუცაზე) მშენებლობის შესახებ. პროექტი შეადგინა საქართველოში მოდერნის სტილის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ღ. სარქისიანმა და ი. პონდოევმა. ხელშეკრულების თანახმად, სკოლის შენობის მშენებლობა 1911 წლის 20 აპრილს უნდა დასრულებულიყო (სცსა ფ.1479. ა.1. ს.19).

მოდერნის სტილით ნასაზრდოები არქიტექტორი შენობის თავისებურ გადაწყვეტას გვთავაზობს, სადაც ნაგებობის სადა კედლის სიბრტყეები „წყვეტილი“ კარნიზითა და სხვადასხვა მოყვანილობის კარ-სარკმელთა ღიობითაა დანაწევრებული. სამსართულიან, მკაცრი ხასიათის შენობის კედლებს მხოლოდ მაღალი ანტაბლემენტის დეკორატიული კომპოზიცია და სარკმლებს შორის მოთავსებული მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი ამკობს.

ალექსანდრ მანთაშევის
სავაჭრო სკოლა
ბებუთოვის ქუჩაზე
(დღევანდელი 43–ე საჯარო სკოლა
ლადო ასათიანის ქუჩაზე)

ხარფუხის საქალაქო სკოლა

არქიტექტორ ზურაბიანის მიერ დაპროექტებული ხარფუხის საქალაქო სკოლის მოდერნის სტილში გადაწყვეტილი ორსართულიანი შენობის მთავარი ფასადი ასიმეტრიული ხასიათისაა, რასაც სხვადასხვა ზომისა და ფორმის სარკმელთა განლაგება, დეკორატიული კარნიზისა და ფრონტონის მდებარეობა განაპირობებს. არქიტექტორი ორგანულად უხამებს მის მიერ დაპროექტებული მეორე სართულის საერთო გადაწყვეტას შენობის უკვე არსებულ პირველ სართულს და ეპოქის მხატვრული სიახლეები შემოაქვს.

დამჯდარი პროპორციების ორსართულიანი შენობის ფასადი, გაფორმებული არქიტექტურული ელემენტებითა და მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ჩამოღვენთილი, დეკორატიული ლილვებით, საზეიმო განწყობას ტოვებს მნახველზე.



ხარფუხის პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლის მეორე სართულის დაშენების პროექტი 300 მოწაფეზე, სურბ-სარქისის (დღევანდელი იოსებ გრიშაშვილის) და პროექტირებადი ქუჩების კუთხეში
თბილისი, 1905 წლის 20 იანვარი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8455)







ხარფუხის პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლის სართულებისა და გენერალური გეგმა

თბილისი, 1905 წლის 20 იანვარი–14 თებერვალი

(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8455)

იმ საამქროებისა და მაღაზიების ეტიკეტები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ხარფუხის სკოლის მოწყობაში (დანიელიანცის რკინის ნაკეთობების მაღაზია, ბ. ვილა და ა. რიცის მარმარილოს საამქროს მოზაიკა სკოლის კიბეებისა და ფოიესთვის, ცატუროვის ელექტრო და კერასინის განათებები, ოტტო ვუნდერლიხის რკინა-ლითონის სახელოსნოს კარი სკოლის სააქტო დარბაზისთვის და ა.შ.)
თბილისი, 1910 წელი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8455)



ხარფუხის პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლის შენობის ჭრილი
თბილისი, 1905 წლის 20 იანვარი
(სცსა ფ.192. ა.8ა. ს.8455)



საქალაქო სასწავლებლის პროექტი ორი სკოლისთვის, 300 მოწაფეზე, საბაჟოს (1903 წლიდან სურბ-სარქისის, დღევანდელი იოსებ გრიშაშვილის) ქუჩაზე

თბილისი, 1904 წლის 28 ივნისი

პროექტი შედგენილია ა. ბაბოვის ესკიზითა და მინიშნებებით ინჟინერ-ტექნიკოსის, ა. ჩახმასაზიანცის მიერ


тія для 2хъ школъ на 300 учениковъ.
Фасадъ.
ГОРОДСКОЕ
ХАРПУХСКОЕ
УЧИЛИЩЕ
Подвалъ
Кухня
Столовая
Кабинетъ
Генеральный планъ

ლევანდოვსკის გიმნაზია – „თავისუფლების, შემოქმედებისა და სიხარულის“ სკოლა

XX საუკუნის დასაწყისის თბილისში გენერალ-მაიორ ლევანდოვსკის გიმნაზია ერთ-ერთი ავტორიტეტული სასწავლებელი იყო. მას არაერთი მოგზაური და თბილისში სტუმრად ჩამოსული ცნობილი პიროვნება იხსენებს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელს და „თავისუფლების, შემოქმედებისა და სიხარულის“ სკოლას. ეს რუსეთის იმპერიაში პირველი შერეული ტიპის (იგულისხმება როგორც ვაჟთა, ისე ქალთა) გიმნაზია ვლადიმერ ლევანდოვსკიმ მის მეუღლესთან ერთად მეოცე საუკუნის პირველ წლებში დააარსა (Кавказский календарь, 1914:337; Мнухин, 2008:37).

ლევანდოვსკის კერძო სასწავლებელი 1907 წელს შეიქმნა და თავდაპირველად, ანასტასიას ქ.N10 (დღევანდელი გიორგი ახვლედიანის ქუჩა) მდებარეობდა. 1910 წლიდან მას პროგიმნაზია უწოდეს და ახალ მისამართზე, ბარნოვის ქ.N10 გადავიდა (დღევანდელი თბილისის 42–ე საჯარო სკოლის შენობა), ხოლო 1914 წლის 25 მაისს გიმნაზიად გადაკეთდა (სცსა ფ.449).

სამსართულიანი, სარკმელთა დეკორატიული თავსამკაულით, კარნიზებითა და პილასტრებით შემკული, უხვი დეკორით გამორჩეული გიმნაზიის შენობა ყურადღებას იქცევს თავისი მხატვრული გადაწყვეტით. მთავარი ფასადის არქიტექტურული დეტალებით დანაწევრებულ და დეკორით გადატვირთულ კედლის სიბრტყეს არქიტექტორი თანაბარზომიერ ნაწილებად ყოფს, სადაც ხაზგასმულია შენობის სიმეტრიის ღერძი. ყოველივე ეს კი მიღწეულია შენობის ცენტრალური კომპოზიციით გამოყოფილი ფრონტონით, სიმეტრიის ღერძზე განაწილებული წრიული თუ ბრტყელი კორინთული ორდერის პილასტრებით და სხვა არქიტექტურული დეტალებით.

ლევანდოვსკის გიმნაზია
(დღევანდელი 42-ე საჯარო სკოლა)

თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზია

ვაჟთა მეოთხე გიმნაზია 1906 წელს გერმანელების ქუჩა N4 (დღევანდელი N30 საჯარო სკოლა, კიევის ქუჩა N4ა) დაფუძნდა.

სამსართულიანი, სიმეტრიული და დახვეწილი პროპორციების მქონე სასწავლებლის შენობა ორგანულად ეწერება ვიწრო ქუჩის საერთო განაშენიანებაში. არქიტექტორმა შენობისთვის რენესანსულ-ბაროკული სტილიზაციის დეკორი გამოიყენა და ნაგებობის გაწონასწორებული საერთო კომპოზიცია მოდერნის სტილური ჩანართებით გააძლიერა.



ვაჟთა მეოთხე გიმნაზია გერმანელების ქუჩაზე
(დღევანდელი 30-ე საჯარო სკოლა კიევის ქუჩაზე)

მატინოვის საქალაქო სკოლა

ყოფილი ქალაქის თავის, ალექსანდრ მატინოვის სახელობის სკოლის მშენებლობა მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო იმ კაპიტალით, რომელიც მატინოვმა თავად შესწირა ქალაქს. მისი ანდერძის თანახმად, თანხა ქველმოქმედებას ან სახალხო განათლებას უნდა მოხმარებოდა (სცსა ფ.192. ა.6. ს.1475).

ქალაქის საკრებულოს 1912 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, სკოლის მშენებ-



ქალაქის თავის, ალექსანდრ მატინოვის სახელობის სკოლის პროექტი გუდოვიჩის (დღევანდელი დანიელ ჭონქაძის) ქუჩაზე
თბილისი, 1912 წლის 4 ივლისი
არქიტექტორი დავით ჩისლიევი

ლობა გუდოვიჩის ქუჩაზე ქალბატონ შლიტერისგან ნაყიდ მიწის ნაკვეთზე უნდა დაწყებულიყო (სცსა ფ.192. ა.6. ს.1602).

საკრებულოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კომისიამ სკოლის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ქალაქის არქიტექტორს, დავით ჩისლიევს დაავალა. სკოლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 1912 წლის 3 მაისს დამტკიცდა.



სამმართველოს 1912 წლის 27 ივლისის დადგენილებით, სამშენებლო სამუშაოები ი. ბუდნიკს უნდა შეესრულებინა. სკოლის შენობისათვის ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის მოწყობის კონკურსში თბილისში არსებული სხვადასხვა კომპანია მონაწილეობდა: ვ. ა. როსსმანის ტექნიკური კანტორა, „პოლაკი და კომპანია“ და სააქციო საზოგადოება „კ. ზიგელი და როსტოვი დონზე“. უპირატესობა ვ. ა. როსსმანის ტექნიკურ კანტორას მიენიჭა.

ბიბლიოგრაფია

აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე, თ., საყვარელიძე, ა., ჭელიძე, ზ. (2008). ენციკლოპედია. ქუჩები, გამზირები, მოედნები. თბილისი.

ბერიძე, ვ. (1960). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლები. I. თბილისი.

ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლები. II. თბილისი.

ბერიძე, ვ. (1984). მოგონებები. საბჭოთა ხელოვნება. #7. თბილისი.

გამბა, ჟ. ფ. (2021). მოგზაურობა კავკასიაში. ტომი II. თბილისი.

გერსამია, თ. (2006). „ქართული სტილი" თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. სპექტრი. თბილისი.

გერსამია, თ. (2015). სამუზეუმო კვარტალი თბილისში. ARS GEORGICA. https://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/184.html?ed=16.

გერსამია, თ. (2018), არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი. ARS GEORGICA.

https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-26-26/216-2019-01-03-08-44-30.html

გორგაძე, დ. (2019). მოგზაურობა ჯოჯოხეთში (მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები). თბილისი.

თავზიშვილი, გ. (1948). სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. თბილისი.

ლეჟავა, ნ. (2018). კალენდულა და ლურჯი ღილი. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. თბილისი.

მანია, მ. (2006). ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი.

მანია, მ. (2018). გერმანელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი.

მარგველაშვილი, ა., ჭეიშვილი, ა. (2020). ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში. თბილისი.

მარგველაშვილი, ა. (2021). ქართულ-გერმანული კულტურის მოზაიკა 1918–1921. თბილისი.

მირიანაშვილი, ე. (2018). მოგონებები (მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები), ტექსტი გადმოწერა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო თამთა შონვაძემ.

ნაცვლიშვილი, ნ. (2019). კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.

ჟვანია, ზ., გულიაშვილი, შ., გელავა, ნ. (2018). საისტორიო ცენტრალური არქივის მეგზური. თბილისი.

საყვარელიძე, ს. (1959). ნარკვევები საშუალო სამედიცინო განათლების ისტორიიდან საქართველოში. თბილისი.

სილაქაძე, დ. (2018). თბილისის სამხედრო სკოლა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი.

სულაბერიძე, ზ., გურგენიძე, ნ., (2014). თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ისტორიიდან (1802–1815 წწ.). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები – XII-XIII. თბილისი.

სხირტლაძე, ნ. (2023). თბილისის კავკასიის უნივერსიტეტის ისტორიიდან. თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1984). ტ. 8. თბილისი.

ღვინერია, თ. (2023). თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობის შესახებ. ACADEMIA. თბილისი.

ღუდუშაური, მ. (2009). თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში. თბილისი.

ძიმისტარაშვილი, სოკ. (1937). კერძო სასწავლებლები საქართველოში (1830–1836). სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

ჭიჭინაძე, ზ. (1908). დიდებული საქმე ქართველი ერისა (ქართული გიმნაზიის მშენებლობა). თბილისი.

ხელთუბნელი, მ. (1941). საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი.

ხოშტარია, დ. (2011). თბილისი ძველი სასტუმროები. თბილისი.

ხოშტარია, დ. (2016). არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801–1918). თბილისი.

ხუნდაძე, ტრ. (1937). საერო განათლება საქართველოში მე–19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. (2016). პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე–19 საუკუნის საქართველოში. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი.

ჯანელიძე ო. (2014). ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.2. ა.2. ს.1405.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.2. ა.1. ს.2668.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.2. ა.1. ს.7081.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.2. ა.1. ს.7430.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.8. ა.1. ს.280.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.8. ა.1. ს.1635.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.12. ა.7. ს.2237.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.13. ა.6. ს.700.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.36. ა.1. ს.14.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)ფ.192. ა.3. ს.35.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.6. ს.160.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.6. ს.175.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.6. ს.1389.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.6. ს.1475.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.7. ს.166.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8. ს.697.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.4. ს.120.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.132.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.133.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.134.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.236.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8. ს.660.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8. ს.697.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.1061).

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.6. ს.1417.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.1851.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.2014.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.2171.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.2178.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.2181.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.2606.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.4200.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.4975.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.5628.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.6264.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.6615

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.8143.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.8455.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.8631.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.9737.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.9739.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.9143.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.10432.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.10544.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.192. ა.8ა. ს.10547.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ან.1. ს.66.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1 ს.77.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს118.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.166.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.167.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.303.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.314.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.373.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს.670.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.203. ა.1. ს. 796.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)ფ.203. ა.1. ს.908.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.719.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა)ფ.204. ა.1. ს.1162.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2189.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2502.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2504.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2507.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2511.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2516.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.2521.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.3974.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.4056.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.4155.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.204. ა.1. ს.4186.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.81.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.140.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.305.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.370.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.579.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.830.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.637.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.1068.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.1069.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.205. ა.1. ს.1197.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.219. ა.1. ს.27.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.214. ა.1. ს.140.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.422. ა.1. ს.43.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.422. ა.1. ს.218.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.422. ა.1. ს.440.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.422. ა.1. ს.478.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.422. ა.1. ს.708.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.35.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.41.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1.ს.43.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.61.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.77.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.78.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.86.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1.ს.92.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.120.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.424. ა.1. ს.138.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ. 424. ა.1. ს.144.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ. 424. ა.1. ს.179.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.428. ა.1. ს.62.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.438. ა.1. ს. 9.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.453. ა.1. ს.172.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.455. ა.1. ს.99.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.455. ა.1. ს.400.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.441. ა.1. ს.273.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ463. ა1. ს.1.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.463. ა.1. ს.25.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.463. ა.1. ს23.
საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.478. ა.1. ს.40.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.537. ა.1. ს.125.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.455. ა.1. ს.400.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1479. ა.1. ს.19.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1645. ა.2. ს.20.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ. 1645. ა.1. ს.34.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1645. ა.1. ს.27.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1741. ა.1. ს.6.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1741. ა.1. ს.7.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1741. ა.1. ს.8.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1741. ა.1. ს.13.

საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა) ფ.1935. ა.1. ს.59

საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა, თბილისის გეგმა შემოგარენით r–160. 1859 წელი.

საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა, ქალაქ თბილისის გეგმა r–158. 1913 წელი. შედგენილი თბილისის საქალაქო სამმართველოს მიწისმზომელთა განყოფილების მიერ. გამოცემული კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის მიერ.

ქალაქ თბილისის აღწერა. (1971). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა. თბილისი.

Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею. (1866-1884). т. I-IX. Тбилиси.

Аристов, Н. (1878). Состояние образования в России. Киев.

Газета „Кавказ“. (1882). #205. Тифлис.

Газета „Тифлисский Листок“. (1874). #18. Тифлис.

Герценщтейн, В. А. (1899). Иллюстрированный Спутник по Тифлису и его окрестностямь. Тифлис.

Григорьев, В. (1900). Исторический очерк Русской школы. Москва.

Зодчий. (1894). Архитектурный и художественно-технический журнал. XXIII-й год. С-Петербург.

Зодчий. (1908). Архитектурный и художественно-технический журнал. XXXVII-й год. С-Петербург.

Кишмишев, А. (1909). Тифлис: Личные воспоминания за время управления Кавказом кн. Воронцова. Тифлис.

Кавказский Календарь. (1845).

Кавказский Календарь. (1857).

Кавказский Календарь. (1858).

Кавказский Календарь. (1875).

Кавказский Календарь. (1879).

Кавказский Календарь. (1890).

Кавказский Календарь. (1892).

Кавказский Календарь. (1895).

Кавказский Календарь, (1908).

Кавказский Календарь. (1910).

Кавказский Календарь, (1913).

Киреева, Т. В. (2014). Архитектура зданий коммерческого образования Российской Империи. Нижний Новгород.

Мнухин, Л., Авриль, М., Лосская. В. (2008). Российское зарубежье во Франции. 1919-2000. Биографический словарь. Том 2. Москва.

Тер-Егиазаров А. и Назаретов К. М. (1906). Весь Тифлись, Справочно Адресный Альбом на 1906 год. Издание I-е. Тифлис.



← **თბილისი. ხედი მამადავითის მთიდან**
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან [1890–1900]